საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორაც ბოჭდ-ვუნი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 15 იანვარი. 2020 წ. №6 (8932) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ანაკლია მაინც აშენდება!

ხელისუფლებას ისევ პოლიტიკური სპეკულაციის წინააღმდეგ უწევს ბრძოლა!

გუშინ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“ საინვესტიციო ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხზე განცხადება გაავრცელა.

„სამწუხაროა, რომ გრძელდება ანაკლიის პორტის პროექტის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება და საზოგადოების შეგნებულად შეცდომაში შეყვანის მცდელობა. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, წერილობითი შეტყობინებით, იმავე დღეს ჩაბარდა ანაკლიის განვითარების კონსორციუმს და ხელშეკრულება ოფიციალურად შეწყდა. საინვესტიციო ხელშეკრულება ნამდვილად ითვალისწინებს 60-დღიან წინა საარბიტრაჟო ვადას, მაგრამ ეს ვადა უნდა გამოიყენოს იმ მხარემ, რომელიც გეგმავს საარბიტრაჟო დავის წამოწყებას და მხოლოდ წინა საარბიტრაჟო პროცედურებზე მოლაპარაკებას საარბიტრაჟო დავის თავიდან აცილების მიზნით. მხარეთა შორის 60-დღიან პერიოდში გასამართი მოლაპარაკებები არ გულისხმობს მოლაპარაკებებს საინვესტიციო ხელშეკრულების რაიმე ფორმით აღდგენის და კონსორციუმის მიერ ანაკლიის პორტის პროექტზე მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობას. ხელშეკრულება შეწყვეტილია ყველა დადგენილი სამართლებრივი ნორმის დაცვით და მისი აღდგენა შეუძლებელია. ამდენად, საქართველოს მთავრობასა და ანაკლიის განვითარების კონსორციუმს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყვეტილია ყველანაირი სამართლებრივი საფუძვლისა და ნორმების დაცვით. შესაბამისად, ნებისმიერი განცხადება მთავრობასა და კონსორციუმს შორის ამავე ხელშეკრულების ფარგლებში ურთიერთობის გაგრძელების შესაძლებლობაზე, არის მცდარი და ემსახურება მხოლოდ პოლიტიკურ სპეკულაციებს“!..

რაც შეეხება ანაკლიის პორტის პროექტის პერსპექტივას, განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის მნიშვნელობას და იწყებს პროექტის ხელახალი სატენდერო წინადადების მოსამზადებელ პროცედურებს.

„ჩაყლაპე ლუკმა-ლუკმა“ გალის მოსახლეობა დაცლის საფრთხეზე საუბრობს

5

მართლა ავშენდებით თუ... ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებით ბაქიბუქია?!

2

შეიქმნება 3 500 სამუშაო ადგილი

სილა თუ შურისგება?!

6

ცვლილებები პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე

1938-2020: შემთხვევით ან შეგნებულად ჩამოგდებული სამოქალაქო თვითმფრინავები

7

რა არის GHB?..

ახალი „მკვლელი“ ნარკოტიკი

11

ექიმი-ნარკოლოგი საზოგადოებას აფრთხილებს

საქართველოში 30 000 ტონამდე ამერიკული ხორბალი შემოვიდა

2019 წლის დეკემბერში საქართველოში 30 000 ტონამდე მაღალხარისხიანი, ამერიკული წარმოშობის ხორბალი შემოვიდა. როგორც საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციაში განმარტავენ, ხორბლის იმპორტი ქვეყანაში საზღვაო გზით განხორციელდა.

„ეს არის ხორბლის პირველი კომერციული პარტია, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ისტორიაში შემოვიდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან (როგორც ცნობილია 2000 წ-ის მიჯნაზე, საქართველომ მიიღო ამერიკული ხორბალი, თუმცა ის იყო ამერიკის მთავრობის დახმარება საქართველოსადმი). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული 30 000 ტონა ხორბალი მიღებულია ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნიდან და მიმართულია ბაზრის შემდგომი დივერსიფიცირების და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისკენ. როგორც ცნობილია, საქართველო ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დიდწილად დამოკიდებულია რუსული ხორბლის იმპორტზე.

ამჟამად საქართველოს წისქვილ-კომბინატების მიერ მიმდინარეობს ამერიკული ხორბლის პირველი პარტიის გადამუშავება და გამოშვებულმა ფქვილის ხარისხმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაცია მადლობას უხდის საქართველოსა და აშშ-ის მხრიდან ჩართულ ყველა სამთავრობო და კერძო სტრუქტურებს გვერდში დგომისა და დახმარებისათვის. დღეის მდგომარეობით კვლავ მიმდინარეობს მოლაპარაკებები მომდევნო პარტიების შესყიდვაზე.

გვწამს ხორბლის პირველი წარმატებული ნაბიჯი, იქნება საქართველო-აშშ-ის აქტიური თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების საწინდარი ხორბლის იმპორტის თვალსაზრისით, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებას“, – აცხადებენ საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციაში.

◎ საქართველოს მთავრობის დაპირება

მართლა ავშენდებით თუ... ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებით ბაქიბუქია?!

შეიქმნება 3 500 სამუშაო ადგილი

მაღალანაზღაურებად და საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორებში 3 ათას 500 სამუშაო ადგილი შეიქმნება, — ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს მთავრობის ოფიციალურ გვერდზე ვრცელდება. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგენტომ — „აწარმოე საქართველოში“ 2020-2021 ინვესტიციების მოზიდვის ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შეიმუშავა.

„ქვეყანაში არსებული მოთხოვნებისა და მეწარმეთა ინტერესების გათვალისწინებით, „აწარმოე საქართველოში“ ცვლილებები განხორციელდა და პროგრამას ახალი პრიორიტეტული მიმართულებები დაემატა: ბალნეოლოგიური კურორტები; ტურისტულისერვისები და სათავგადასავლო ტურიზმი; საზღვაო თევზჭერა; კერამიკული ნაკეთობები. მაღალმთიანი რეგიონებში მეწარმეთა მხარდასაჭერად იზრდება სააგენტოს მიერ თანადაფინანსების წილი. დაკონკრეტდა ის დასახლებული პუნქტები, სადაც სასტუმროს აშენება მთავრობისგან იქნება მხარდაჭერილი — განისაზღვრა 632 ლოკაცია“, — აღნიშნულია განცხადებაში.

განცხადებაში ასევე მოყვანილია პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ სტატისტიკა: ინდუსტრიული და სასტუმრო ინდუსტრიის კომპონენტით მხარდაჭერილია 495 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 1 მილიარდ ლარზე მეტს. შედეგად შეიქმნება 16,356 ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი.

მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის კომპონენტით მხარდაჭერილია 6 ათას 212 პროექტი — ჯამში, 9 ათას 384 მეწარმე. თანადაფინანსების სახით გაიცა 46.9 მლნ ლარზე მეტი. დაფინანსებული პროექტების ჯამური საინვესტიციო მოცულობა 61 მლნ ლარზე მეტია. კინოინდუსტრიის განვითარების ნაწილში გაფორმებულია ხელშეკრულება 31 პროექტის განხორციელების თაობაზე, საიდანაც 16 პროექტი დასრულებულია. პროექტების ინვესტიცია შეადგენს 113.2 მლნ ლარზე მეტს, დასაქმდება 17 ათას 400-ზე მეტი ადამიანი..

პრეზიდენტი კალანდობას სოფელ შემოქმედში შეხვდა

სალომე ზურაბიშვილი კალანდობას გურიის რეგიონში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში ჩხატარაშვილების ექვსშვილიან ოჯახში შეხვდა.

ზურაბიშვილი ჩხატარაშვილების ოჯახში მეკვლედ მივიდა, საქართველოს მოსახლეობას ახალი წელი მიულოცა და მშვიდობა და კეთილდღეობა უსურვა.

„მინდა, სრულიად საქართველოს გურიიდან კალანდობა მივულოცო. მეკვლე სხვა დროს და სხვა ადგილასაც ვყოფილვარ, მაგრამ ამ დროს გურიაში პირველად ვარ. კალანდობა ერთ-ერთი იმ ტრადიციათაგანია, რომელმაც აქამდე მოგვიყვანა და რაზედაც დღეს ვდგავართ. გურიას ეს ძლიერი ტრადიცია აქვს. სხვა მხარეებს სხვა ტრადიციები აქვთ და მათი ერთიანობა ქმნის საქართველოს“.

პრეზიდენტთან ერთად ჩხატარაშვილების ოჯახს კალანდობა გურიის გუბერნატორმა ზურაბ ნასარაიამ მიულოცა. მანამდე გურიაში ჩასულ პრეზიდენტს ოპოზიცია აქციით დახვდა.

ვინ გახდება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე?

საკონსტიტუციო სასამართლო ახალ თავმჯდომარეს ელოდება. **იმის მიუხედავად, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედმა თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ უზენესი სასამართლოს უვადო მოსამართლეობა გადაიფიქრა და პოზიციაზე დარჩა, ახალი თავმჯდომარის საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილია. საკონსტიტუციო სასამართლოს „უდიპლომო“ თავმჯდომარეს უფლებამოსილების ვადა 15 ივნისს ეწურება. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობის სურვილი ბიძინა ივანიშვილის სახელისუფლო ვერტიკალში ძალიან ბევრ გაპოლიტიკოსებულ იურისტს აქვს.**

საკონსტიტუციო სასამართლოს მომავალი თავმჯდომარის შესახებ მედიაში ბევრი გვარი ვრცელდება. მათ შორის არიან პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე და ხორავას ქუჩის სისხლიანი საქმის გამო თანამდებობიდან გადაყენებული ყოფილი მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე.

თუმცა, „2020NEWS“-ის ინფორმაციით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობის პოლიტიკურ ქასტინგში კიდევ ერთი ყოფილი და გადამდგარი მაღალჩინოსანი მონაწილეობს. სააგენტოს ინფორმირებული წყაროს ცნობით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობა უზენაესი სასამართლოდან უსიტყვოდ და მდუმარედ გადამდგარ ნინო გვენეტაძესაც უნდა. გვენეტაძის სავარაუდო კონკურენტები დიდი ალბათობით, „ყოფილებიც“ იქნებიან.

„2020NEWS“-ის ინფორმაციით, სადეპუტატო ვადის ამოწურვის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოში გადანაცვლება მე-9 მოწვევის პარლამენტის დეპუტატებსაც უნდათ. სააგენტოს ინფორმაციით, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მოქმედი თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი და ვიცე-სპიკერი გიორგი კახიანი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობის მსურველთა შორის არიან. თავმჯდომარეობა უნდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძესაც. ვინაიდან ივნისამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი, ბიძინა ივანიშვილს დიდი დრო აქვს, კარგად დაფიქრდეს და არჩევანი ისე გააკეთოს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 2020 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს ბევრი პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილების მიღება მოუწევს.

კანონმდებლობის მიხედვით კი, საკონსტიტუციო სასამართლო 9 მოსამართლე წევრისგან შედგება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 წევრს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო 3 წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოში დასანიშნ კანდიდატებს უზენაესი სასამართლოს პლენუმზე ასახელებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. კენჭისყრის შედეგად დანიშნულად ჩაითვლება ის 3 კანდიდატი, რომელიც პლენუმის დამსწრე წევრთაგან ხმათა ორ მესამედს მიიღებს.

ის არის კრიმინალი, რომელსაც ციხის შიშით საქართველოში დაბრუნების ეშინია!

„ვფიქრობ, რომ სააკაშვილი აქამდე, დიდი ხანია, იყო მარგინალი და ბობოქარი, უკონტროლო ადამიანი. ის ახლა პრაქტიკულად არის ადამიანი, რომლის განცხადებებზეც კომენტარი ხშირად რთულია.

თუმცა, ერთს მაინც ვიტყოდი, რომ მე სწორედ იმ მამას, რომელზეც ის საუბრობს, არ გავუზრდივარ ისე, დავუბრუნო მას პასუხი, როგორც ეკადრება და მოვიკითხო მისი მამა, დედა. მას ურჩევნია, მიხედოს საქმეს და იქნებ იმ ქვეყანაში, სადაც იმყოფება, საკუთარი პოლიტიკური რეიტინგი გააუმჯობესოს.

ამ ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ჰქვია, ის არის კრიმინალი, მისჯილი აქვს სასჯელი და ის უბრალოდ იმ ბედის ადამიანია, რომ საქართველოშიც ეშინია დაბრუნება ციხის შიშით“, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა ჟურნალისტებთან.

წულუკიამა ამ გაცხადებით საქართველოს მესამე პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს უპასუხა.

შეგახსენებთ, მიხეილ სააკაშვილმა ტელეკომპანია „მთავარში“ განაცხადა, რომ წულუკიანის მამა სასამართლო სისტემიდან მისმა რეჟიმმა გააგდო, რადგან ის ადამიანებს ხვრეტდა.

ვახტანგ გომელაურმა თეიმურაზ მღებრიშვილი დააჯილდოვა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს თეიმურაზ მღებრიშვილს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და განსაკუთრებული დამსახურებისთვის I ხარისხის მედლით დააჯილდოვა.

თეიმურაზ მღებრიშვილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელად 2018 წლის ბოლოს დაინიშნა. 2019 წლიდან სამსახური კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში დაბრუნდა.

სისტემური განახლების პროექტის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების სამსახურში ინფრასტრუქტურული რეფორმა გრძელდება. საგანგებო სიტუაციების სამსახურს 30 ახალი, გერმანული წარმოების, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახანძრო მანქანა გადაეცა, რომლებიც თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ბორჯომში, ზუგდიდში, რუსთავსა და სიღნაღში განაწილდა.

აქტიურად გრძელდება სოციალური პროექტებიც, რომლების ფარგლებშიც, მიმდინარე წელს საგანგებო სიტუაციის მართვის სამსახურის თანამშრომლებს ხელფასი გაეზრდებათ. ასევე, მოხდება მეხანძრე-მაშველების კვებით უზრუნველყოფა. თეიმურაზ მღებრიშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრს მხარდაჭერისა და გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲣᲠᲩᲝᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲞᲐᲢᲘᲔᲑᲡ, ᲛᲐᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ Ე.Წ. ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

— ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲣᲠᲩᲝᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲞᲐᲢᲘᲔᲑᲡ. ოკუპანტი ქვეყანა მის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში ყველაფერს აკონტროლებს. ვინც არ უნდა მოვიდეს აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების სათავეში, ყველას ძალიან მცირე შანსი ექნება იმისა, რომ საქართველოსთან არსებული სიტუაცია რადიკალურად შეცვალოს.

აფხაზეთის ე.წ. პირველი პირის კომპეტენციაში საქართველოსთან ურთიერთობების აღდგენა არ შედის. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთისთვის მომავალი დე ფაქტო პრეზიდენტის პოზიცია და ქმედება მიუღებელი იქნება, მაშინ ოკუპანტ ქვეყანას აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის შეცვლაც არ გაუჭირდება“, — აცხადებს ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე.

ძაბირაძე, ჯერჯერობით, ვერ აკონკრეტებს, ვისი კანდიდატურა შეიძლება, დააყენოს რუსეთმა რაულ ხაჯიმბას ნაცვლად. ხაჯიმბამ უკვე თქვა უარი, კვლავ მიიღოს მონაწილეობა ე.წ.არჩევნებში, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატმა.

რაც შეეხება ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა ექსმინისტრის სერგეი შამბას განცხადებას, რომ საქართველოსთან ურთიერთოები უნდა დალაგდეს, ძაბირაძე ასე აფასებს:

„საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობები პრაგმატულ პოლიტიკაზე დაყრდნობით უნდა გაუმჯობესდეს. საქართველოს პოლიტიკა ისე უნდა გატარდეს, რომ აფხაზეთმა არა მტრად, არამედ მეგობრად აღგვიქვან. აფხაზებმა უნდა ნახონ, რომ საქართველო ის ქვეყანაა, რომლისკენაც უნდა მიდიოდნენ. ჩვენ აფხაზებისთვის მიმზიდველი ქვეყანა უნდა გავხდეთ“.

ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗᲘ, ოკუპირებულ აფხაზეთში დე ფაქტო პრეზიდენტის არჩევნები 22 მარტს გაიმართება.

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲖᲐᲠᲜᲐᲫᲔ

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲨᲐᲛᲑᲐ: ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲝᲮᲣᲛᲛᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ

ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ აფხაზეთის ყოფილი დე ფაქტო პრემიერ-მინისტრი სერგეი შამბა აცხადებს, რომ თბილისსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის დიალოგი უნდა დაიწყოს. მისივე თქმით, უნდა დალაგდეს ურთიერთობები თბილისსა და სოხუმს შორის.

„საჭიროა დიალოგის დაწყება, რომ დალაგდეს ნორმალური ურთიერთობები. მე ამის მომხრე ვარ, იმის ნაცვლად, რომ გაგრძელდეს კონფრონტაცია, როგორიც დღესაა.

უნდა დავსხდეთ და დავიწყოთ საუბარი სხვადასხვა ფორმით, მხოლოდ სოხუმმა და თბილისმა“, — განაცხდა სერგეი შამბამ.

ᲝᲡᲔᲗᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲗ

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ხელისუფლება ვლადიკავკაზსა და თბილისს შორის ავიარეისების დანიშვნის ინიციატივით გამოდის. ამის შესახებ რუსული მედია რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის მინისტრის განცხადებაზე დაყრდნობით წერს.

ჰაიდარბეკ ბუტოვის თქმით, მოსამზადებელი სამუშაოები შესრულებულია. მისივე ინფორმაციით, თავისი იდეის განხორციელება ჯერ კიდევ 2019 წლის დასაწყისში იგეგმებოდა, თუმცა პოლიტიკური მიზეზებით მუშაობა შეჩერდა.

ბუტოვის განცხადებით, ავიარეისების დასანიშნად პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო.

„ᲚᲘᲑᲔᲠᲢᲐᲠᲘᲐᲜᲔᲚᲘ კაცი, რომელიც თავისუფალ ბაზარზე ლოცულობს და ბიზნესში სახელმწიფოს ჩაურევლობას ლობირებს, თვალს ხუჭავდა ნაცების მხრიდან ბიზნესის რეკეტზე“, — ამის შესახებ ანალიტიკოსი **ᲑᲐᲩᲝ ᲝᲓᲘᲨᲐᲠᲘᲐ** საუბრობს საავტორო ვიდეობლოგში „ქართული წარმოების პოლიტიკური კლოუნი“.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲮᲣᲭᲐᲕᲓᲐ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲠᲔᲙᲔᲢᲖᲔ

ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ თქმით, **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲒᲘᲠᲩᲘ** 20 ივნისის აქციებზე ამბობდა, გაუგონარი რამ მოხდაო, მაგრამ, როცა ვანო მერაბიშვილი დაიჭირეს, აბსურდული ბრალდებები აქვს წაყენებულიო, ასე იცავდა ნაცების „ხერხემალს“, როგორც თავად ეძახდნენ.

„დიდი ხანია, ყურადღება აღარ მიგვიქცევია ადამიანისთვის, რომელიც ლიბერტარიანელი შალვა ნათელაშვილი, ანდაც ულტრამემარჯვენე გოგი წულაიაა. საუბარი მაქვს ქართული პოლიტიკური სპექტრის დამსახურებულ კლოუნზე, ზურაბ „გირჩი“ ჯაფარიძეზე. ზურაბს და ზოგადად „გირჩს“ თავიდან, იშვიათად, მაგრამ მაინც ვუთმობდით ხოლმე ყურადღებას, ვფიქრობდით, რომ მას გარკვეული გავლენა ჰქონდა ახალგაზრდობაზე, თუმცა როგორც ერთმა ჩემმა მეგობარმა თქვა, გირჩის პრობლემა თავად გირჩია, შესაბამისად, მათ თვითონვე იზრუნეს, რომ ახალგაზრდების დიდ ნაწილშიც გოიმებად, კლოუნებად და უპრინციპოებად გამოჩენილიყვნენ. სხვის დაუხმარებლად გააკეთეს საკუთარი თავის ასეთი ბრენდინგი. ვაღიაროთ, აქვთ ეს უნარი: ყველას გარეშე შეუძლიათ მოისპონ თავი.ზურაბ გირჩის საქმენი საგმირონი მრავალი გვახსოვს. მას შემდეგ, რაც 2012 წელს გამოქვეყნდა ციხის კადრები, პატიმრების წამების, დამცირების, გაუპატიურების ამსახველი ვიდეომასალა, ბატონი გირჩი „ნაციონალური მოძრაობის“ სიაში დარჩა და მანდატი არ დატოვა და კაი ხანი „აპრავებდა“ „ნაცების“ ქმედებებს, თანაც ისე,რომ ლიბერტარიანიზმის ერთადერთ დამცველად ეს პარტია მოჰყავდა. ზურა გირჩი ის კაცია, ვინც ციხის კადრებზე სერიოზული სახით ყვებოდა, ჩვენ არ ვიცით, ამაზე მართლა გაბრაზდა თუ არა ხალხიო, კვლევა არ ჩაგვიტარებია, რომ ეს დაგვედგინა და გვცოდნოდაო. კვლევაზე გამახსენდა, ბოკერიასთან დებატებისას კვლევებზე ზურა ამბობდა, რომ არ ვენდობი და სისულელეაო. ლიბერტარიანელი კაცი, რომელიც თავისუფალ ბაზარზე ლოცულობს და ბიზნესში სახელმწიფოს ჩაურევლობას ლობირებს, თვალს ხუჭავდა ნაცების მხრიდან ბიზნესის რეკეტზე და ძალადობრივი რეჟიმის ნაწილი გახდა, „ნაცების“ სიაში მას შემდეგ შევიდა, რაც უკვე მათი ყველა მანკიერება სააშკარაოზე იყო გამოტანილი, თუმცა მიუხედავად ამისა, არც იდეური, არც მორალური წინააღმდეგობა მათთან არ შექმნია და აგრძელებდა პარტიის დაცვას. ზურა გირჩი 20 ივნისის აქციებზე ამბობდა, გაუგონარი რამ მოხდაო, თუმცა, ამავდროულად, ვანო მერაბიშვილი რომ დაიჭირეს, აბსურდული ბრალდებები აქვს წაყენებულიო, იცავდა „ნაცების“ ამ, როგორც თავად ეძახდნენ, „ხერხემალს“, — ამბობს ბაჩო ოდიშარია.

როგორც ანალიტიკოსი მიიჩნევს, „ნაცების“ სიყვარული ზურაბ ჯაფარიძის გენეტიკური კოდის ნაწილია და ამიტომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც გრიგოლ ვაშაძეს დაუჭირა მხარი, თუმცა მას შემდეგ, რაც ხალხის მხრიდან, მათ შორის გირჩის მომხრეების მხრიდანაც მკაცრად ნეგატიური შეფასებები მიიღო, გადათქვა საკუთარი გადაწყვეტილება, რაზეც ნაცებმა დაუწყეს დამუნათება, ქოცი ხარ, ბიძინასგან ფულს იღებო.

„მიხვდა, რომ დანაშული აქვს გამოსასყიდი, ნაცების და ლიბერალების გულები მოსაგები, დაიღალა კაცი, როდემდე უნდა ითამაშოს ბავშვებთან დუბლებში, დიდებთან ერთად უნდა ბურთის გაგორება და ისევ დაიწყო მათთვის მოსაწონი ბიჭუნას როლის თამაში და დღეს ძლიერი მონდომებით, ზედმეტი მოტივაციით, ყოველგვარი ანალიტიკური თუ ლოგიკური მსჯელობისგან დაცლილი კაკაფონიით, ამბობს მე არ მჯერა, რომ ბიძინა რუსეთის კაცია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც რუსეთის კაცია, რომელიც ქვეყანას უპირებს განადგურებასო. ამ შინაარსისა თუ ლოგიკისგან სრულად დაცლილ სტატუსში ის აკეთებს დაშვებებს, რასაკვირველია, არა ფაქტობრივს ან არგუმენტირებულს ან დედუქციურს, არამედ, ამის თქმაც ზედმეტი პატივია, მაგრამ ჯანდაბას, ვუწოდოთ, სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში. მისივე შემოთავაზებული რიტორიკის დაცვით რომ ვიმსჯელოთ, გავაკეთოთ დაშვება თუ რატომ გამოეყო ნაცებს 2015 წელს, მაშინ, როდესაც არანაირი იდეოლოგიური კონფლიქტი მათთან არ ჰქონია, არც მათ მანკიერებებზე აღშფოთებულა და პირიქით, ყოველთვის უძებნიდა რაიმე აბსურდულ გამართლებას მათ სისტემურ დანაშაულებს? დაშვება, რომელიც შეგვიძლია გავაკეთოთ, ჩემი ექსკლუზივი არაა, პირველად ბოცო წიკლაურმა თქვა, რომ ეს მოულოდნელი და უპასუხისმგებლო გასვლა ბრძოლის ველიდან ხელისუფლების მონაწილეობით შეიძლებოდა მომხდარიყო და ცალსახად ემსახურება ბიძინა ივანიშვილის ინტერესებსო. ბოკერიამ ინფანტილური უწოდა ზურა „გირჩის“ ამ საქციელს, იქვე ისიც დასძინა, მათი წასვლით არც არაფერი დაგვაკლდაო, თუმცა არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ, თავადვე გამოეყო ნაციონალურ მოძრაობას და დასაბამი მისცა ევრონაცებს. აქ თავისუფლად შეიძლება იმის დაშვება, რომ ზურაბ გირჩმა ფული აიღო იმისათვის, რომ ნაცების მარტივ მამრავლებად გაფანტვა დაწყებუყლიყო. ამის შემდეგ, ის ქმნის ლიბერტარიანულ პარტიას, ან უფრო სწორი ფორმულირება იქნება, კრეატიულ სააგენტო „გირჩს“, რომლითაც პარლამენტში შებრუნების ვნებით აღვსილი, ერთიანდება პაატა ბურჭულაძის, წესით და რიგით მისთვის იდეურად სრულად მიუღებელი სუბიექტის პარტიასთან. თან ზურაბ გირჩი ხომ სულ იმას იმოძღვრება, სახელმწიფოს იდეა ბოროტებაა და კოალიციაში შევიდა იმ მოძრაობასთან, რომელსაც ერქვა „სახელმწიფო ხალხისთვის“. თუმცა არჩევნების წინ, აქაც მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და დატოვა კოალიცია, რამაც საბოლოოდ ჩამოშალა ბლოკი და დააყენა გამოუსწორებელი კრიზისის წინაშე. აქაც, კვლავ დაშვების ლოგიკით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზურა-გირჩმა ისევ აიღო ფული იმისათვის, რომ ახალი ოპოზიციური გაერთიანება დაეშალა. შემდეგ იყო საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის მეორე ტურზეც ვაშაძეს დაუჭირა მხარი, თუმცა მალევე საკუთარი გადაფურთხებული საგულდაგულოდ მოამშრალა, პოზიცია შეცვალა და მორიგი ლოგიკური დისონანსის შემოტევით, მე ნაცებზე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებო, თქვა, სწორედ იმ კაცმა, რომელსაც უკვე ჰქონდა ნაცებზე პასუხისმგებლობა აღებული ციხის კადრებზე, ბიზნესის რეკეტზე და ყველა მათ მანკიერ პრაქტიკაზე“, — ამბობს ბაჩო ოდიშარია.

ანალიტიკოსის თქმით, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე სახელმძღვანელოა კოგნიტური დისონანსის, თუ როგორ შეიძლება, ერთ თავში მომწიფდეს ამდენი ერთმანეთისაგან აცდენილი პოზიცია.

„დღეს ის სისტემასთან მებრძოლს უწოდებს საკუთარ თავს, თუმცა სულ ცოტა ხნის წინათ, ძალადობრივი სისტემის დაცვით და გამართლებით იყო დაკავებული, დღეს კი ისევ მათ გვერდით დგას და მათი ინტერესების გამტარად ფიქსირდება. ანუ ადამიანი, რომელიც დღეს ირწმუნება, სისტემას ებრძვიო, 2012 წელს, ციხის კადრების შემდეგაც კი არ ტოვებდა „ნაციონალური მოძრაობის“ მანდატს და აგრძელებდა ღიად გაცხადებული და ყოველმხრივ დეკლარირებული ძალადობრივი რეჟიმის, სისტემური დანაშაულების შემოქმედი პარტიის მსახურებას. მისი პოლიტიკური ცხოვრებიდან გამომდინარე, უტყუარია, რომ საქმე გვაქვს ადამიანთან, რომელიც ყველაფრის მკადრებელია, პირადი გამორჩენის სანაცვლოდ. ფსიქოანალიზს რომ მოვუხმოთ, ეს არის თინეიჯერობის ასაკში გაჭედილი შუახნის კაცი, რომელიც ეძებს თვით გამორკვევის და თვით რეალიზაციის გზებს, უბრალოდ ამ გზაზე, იმდენად ხშირად იცვლის პოზიციებს, იმდენად ხშირად ირჩევს მანკიერების მსახურებას, რომ რაციონალური პოლიტიკური მოთამაშის ნაცვლად, ემსგავსება დაძრული მანქანის ფანჯრიდან თავგამოყოფილ ძაღლს, რომელიც ბედნიერია იმით, რომ მოძრაობს და სახეში ნიავი უბერავს, საით მიდის და ვინ უზის საჭესთან, მისთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს“, — აცხადებს ბაჩო ოდიშარია.

REPORTIORIGE

რატომ არ იწყებს „M²“ „სვეტის“ მიერ დაზარალებულთა ბინების მშენებლობას და რას დავობს „სფერო ჰოლდინგი“?

კომპანია „სვეტის“ მიერ დაზარალებული მენაშენეები საკუთარი ბინების მშენებლობის გაგრძელებას ამ დრომდე უშედეგოდ ელოდებიან. დედაქალაქის მერის, კახა კალაძის ხმაურიანი ბრიფინგის შემდეგ, სადაც მან შეჩერებული მშენებლობების გაგრძელება დააანონსა და 2500 დაზარალებულს საზეიმოდ ახარა, რომ მშენებლობას კომპანია „m²“, გააგრძელებდა, რამდენიმე თვე ისე გავიდა, რომ ამ დაზარალებულებმა არც ამ მშენებლობის გაგრძელების ვადა იციან და არც ის პირობები, რასაც კომპანია „m²“ სთავაზობს მათ.

გარდა ამისა, როგორც ჩანს, საქმე ასე მარტივად სულაც არ არის, რადგან ამ მშენებლობასთან დაკავშირებით სასამართლოში პროცესებია ჩანიშნული, სადაც კიდევ ერთი დეველოპერული კომპანია „სფერო ჰოლდინგი“ დავობს.

„2020NEWS“ შეეცადა გაერკვია, როდის და რა პირობებით გაგრძელდება მშენებლობა და რის შესახებ დავობენ მხარეები. როგორც სააგენტოს „m²“-ში, განუცხადეს, პროექტის განსახორციელებლად მცირე დეტალებია დასაზუსტებელი, რის შემდეგაც „m²“, უკვე შეძლებს მშენებლობების დაწყებას. ხოლო სასამართლოში მიმდინარე დავა, კომპანიის წარმომადგენლების მტკიცებით, მათ ხელს არ უშლით.

შესაძლოა, ნებართვების საკითხის მოგვარდეს, მაგრამ მშენებლობის გაგრძელება რამდენად მოხდება, ძნელი სათქმელია. საქმე ის არის, რომ „სვეტის“ წინააღმდეგ კომპანია „სფერო ჰოლდინგმა“ 2018 წლის 2 სექტემბერს სასამართლოში სარჩელი შეიტანა. სარჩელის საფუძველი კი ის ხელშეკრულებაა, რომელიც მხარეებს შორის გაფორმდა და რომლის მიხედვითაც, „სვეტს“ შეჩერებული მშენებლობები „სფერო ჰოლდინგისთვის“ უნდა გადაეფორმებინა.

ხელშეკრულების მიხედვით, „სფერო ჰოლდინგი“ მზად იყო, გადაებარებინა კომპანია „სვეტის“ 100%-იანი წილი და დაეკმაყოფილებინა დაზარალებული მენაშენეები და დაეტოვებინა ის საშეღავათო პირობები, რომელიც არსებობდა — 10-წლიანი შიდა უპროცენტო განვადება. თავის მხრივ, „სვეტი“ ვალდებულებას იღებდა, შეჩერებული მშენებლობები „სფერო ჰოლდინგისთვის“ გადაეფორმებინა. რადგან „სვეტმა“ ეს ვალდებულება არ შეასრულა, „სფერო ჰოლდინგმა“ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

ამ სარჩელის მიუხედავად, კალაძემ „სვეტი“ „m²“-ს“ გადაულოცა — 2019 წლის 11 სექტემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და დეველოპერულ კომპანია „m²“-ის უძრავ ქონებას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის თანახმად, „m²“, იღებს პასუხისმგებლობას, გადაიბაროს თბილისში მდებარე კომპანია „სვეტის“ 3 შეჩერებული პროექტი — მირცხულავას ქუჩის №9-11-ში, ნუცუბიძის ქუჩის №125-ში და ჭყონდიდელის ქუჩის №22-ში. რა პირობებით გადაიბარებს „m²“ „სვეტის“ დაზარალებულებს, ბუნდოვანია.

„2020NEWS“-ის ინფორმაციით, „m²“, საშეღავათო პირობებს მინიმუმამდე ამცირებს. კერძოდ, 10-წლიანი უპროცენტო შიდა განვადება 3-წლიან შიდა განვადებაზე ჩამოვიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მენაშენეებმა ბინების ღირებულება, სრული თანხა, 3-წელიწადში უნდა დაფარონ. „m²“-ში ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვებზე პასუხების გაცემისგან თავს იკავებენ. კომპანია „სფერო ჰოლდინგში“ კი აცხადებენ, რომ მენაშენეებისთვის საშეღავათო პირობების სრულად შენარჩუნება იყო ხელშეკრულების შესრულების ერთ-ერთი მთავარი პირობა. კომპანია „სვეტს“ სულ 5 გაჩერებული ობიექტი ჰქონდა — 4 თბილისში და ერთი ბათუმში.

რა ბედი ეწია დანარჩენ 2 ობიექტს და რატომ არ აიღო ვალდებულებად მისი დასრულება კომპანია „m²“-მა, გაუგებარია. „სვეტის“ შეჩერებული სამივე პროექტი ამ ეტაპზე 30 საცხოვრებელ ბლოკს აერთიანებს. აღნიშნულ კომპლექსებში საცხოვრებელს 2500-მდე მობინადრე ელოდება. მშენებლობა 2017 წელს უნდა დასრულებულიყო.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მერის კახა კალაძის ინიციატივას „სვეტის“ მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით, წინ უძღოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსად გრიგოლ ლილუაშვილის დანიშვნას. „სვეტის“ დამფუძნებლები, რომლებიც ახლა პატიმრობაში იმყოფებიან, ღიად აცხადებენ, რომ გრიგოლ ლილუაშვილი ლობირებდა კომპანია „სვეტს“, აქვე საგულისხმოა, რომ ლილუაშვილის მეუღლე მაია ჭეიშვილი კომპანია „სვეტის“ თანამშრომელი იყო.

სხვა შემთხვევაში კომპანია ნებართვის გარეშე მშენებლობებს ვერ განახორციელებდა. შეგახსენებთ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სამშენებლო კომპანია „სვეტის“ ხელმძღვანელი პირები, მათ შორის, დირექტორი გივი ჯიბლაძე, 2018 წლის 3 ოქტომბერს დააკავა. გამოძიება მათ თაღლითობას, კერძოდ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლებას ედავება.

უწყების ცნობით, გამოძიება კომპანია „სვეტის“ მენაშენეთა განცხადების საფუძველზე 2018 წლის 29 მაისს დაიწყო. აღნიშნული კომპანიის მიერ მშენებარე საცხოვრებელი ბინების შეაძენად, მოქალაქეთა მიერ გადახდილი დიდი ოდენობით თანხების მითვისების ფაქტზე. საგამოძიებო სამსახური აცხადებს, რომ ბრალდებულები მოტყუებით ეუფლებოდნენ მოქალაქეთა თანხებს და კომპანიას მშენებლობის შესაბამისი ნებართვები არ გააჩნდა.

აღნიშნულს წინ უძღოდა მენაშენეთა პროტესტი და შიმშილობა „სვეტის“ ოფისში მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ კომპანია სხვისდებოდა. დაზარალებულთა მოთხოვნა იყო, მიეწოდებინათ ინფორმაცია, თუ ვინ ყიდულობდა კომპანიის წილს და როდის დასრულდებოდა მშენებლობა.

2019 წელი საქართველომ საგარეო ვაჭრობის რეკორდული ზრდით დაასრულა

საქართველომ 2019 წელი საგარეო ვაჭრობის რეკორდული ზრდითა და მატებით დაასრულა — ქვეყნიდან განხორციელებულმა ექსპორტმა თითქმის 3.8 მლრდ. აშშ დოლარს მიაღწია და წინა წელთან შედარებით 12.4 პროცენტით გაიზარდა. განსაკუთრებით ფორსირებულად გაიზარდა ექსპორტი წლის ბოლო ორ თვეში (ნოემბერ-დეკემბერში), როდესაც ზედიზედ, ერთი მეორის მიყოლებით, ექსპორტის მოცულობის რეკორდული ნიშნული დაფიქსირდა, — განაცხადა ეკონომიკის პროფესორმა **იოსებ არჩვაძემ** თავის პოსტში, რომელიც მან სოციალურ ქსელში „ფეისბუქში“ გამოაქვეყნა.

ექსპორტის მოცულობამ მხოლოდ დეკემბერში 390.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და წინა, 2018 წლის დეკემბერთან შედარებით 61.4 მლნ. აშშ დოლარით (18.7%-ით) მოიმატა. ამასთან, დეკემბრის მონაცემი 2019 წლის წინა, 11 თვის (იანვარ-ნოემბრის) საშუალო მაჩვენებელზე (307.4 მლნ. აშშ დოლარი) 83.0 მლნ. აშშ დოლარით (27.0%-ით) მეტი იყო.

ეკონომიკის ექსპერტის განცხადებით, ექსპორტის ზრდა განსაკუთრებით თვალშისაცემია იმპორტის რეცესიის ფონზე (იმპორტი შემცირდა 0.8%-ით), რომელმაც 9063.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. მისი თქმით, ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებელი ერთ წელიწადში 4.9 პუნქტით გაუმჯობესდა და 2019 წელს 41.6 პროცენტს მიაღწია (2018 წ. — 36.7%). აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტის წილი 2018 წლის 26.9 პროცენტიდან 2019 წელს 29.4 პროცენტამდე გაიზარდა.

იოსებ არჩვაძის განცხადებით, ექსპორტით იმპორტის მაჩვენებლის გაუმჯობესებამ შესაძლებლობა მოგვცა საგრძნობლად შემცირებულიყო სავაჭრო დეფიციტი — 489.0 მლნ. აშშ დოლარით (8.4%-ით — მშპ-ის თითქმის 3%-ით და იმაზე მეტად, რაც იყო საქართველოს მთლიანი ექსპორტი 2003 წელს). 2019 წელს საგარეო სავაჭრო დეფიციტმა 5291.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ნაცვლად წინა, 2018 წლის 5780.2 მლნ. აშშ დოლარისა.

„ექსპორტის თვალსაჩინო ზრდის, მთლიანად საგარეო სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურის გაუმჯობესებაში განმსაზღვრელი როლი ორმა ფაქტორმა განაპირობა: ჯერ ერთი, საქართველოს ეკონომიკის, მისი რეალური სექტორის საგრძნობი ზრდა (2019 წლის მშპ-ის წინასწარი შეფასებით, დაახლოებით 5.3-პროცენტიანი ზრდაა, მათ შორის ნოემბერში ფაქტობრივად უკვე მიღწეული 6.4%-იანი ზრდა); მეორე, საქართველოს ლიბერალური საგადასახადო რეჟიმის დამსახურებით საქართველოს სატრანზიტო, რეგიონული ჰაბის ფუნქციის გაძლიერება. წლიდან წლამდე ეკონომიკურად სულ უფრო მიმზიდველი ხდება ჩვენი ქვეყანა როგორც ტრანზიტის, ისე რეექსპორტის განხორციელებისთვის,“ — განაცხადა ეკონომიკის ექსპერტმა.

„ქვეყნის ხელისუფლების ძალისხმევა საქართველოს ექსპორტის ზრდისა და დივერსიფიცირებისთვის (ამ ასპექტით განსაკუთრებით გამოვყოფდი შეთანხმებას ევროკავშირთან ასოცირების თაობაზე და ხელშეკრულებას ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ) და ამით მიღებული პრეფერენციების გამოყენებისთვის, ქართული ბიზნესის საექსპორტო პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის, უკვე იძლევიან სასურველ შედეგს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მიღწევები მაღალ გადახდისუნარიან, ტევად, თუმცა იმავდროულად საქონლის ხარისხისა და უსაფრთხოების მიმართ საკმაოდ პრეტენზიულ ევროკავშირის ბაზარზე, სადაც 2019 წელს ქართული პროდუქციის რეალიზაციამ რეკორდულ, თითქმის 0.9 მლრდ. აშშ დოლარს მიაღწია,“ — განაცხადა იოსებ არჩვაძემ. მისი თქმით, საქართველოს ეკონომიკას, მის რეალურ სექტორს აქვს საკმარისი პოტენციალი, რომ უზრუნველყოს ექსპორტის დაჩქარებული განვითარება, მსოფლიო ბაზარზე ქართული პროდუქციის ცნობადობის, კონკურენციისა და მასზე მოთხოვნის არსებითი ზრდა.

ზღვის უბანში რეკრეაციული ზონა და სპორტული სივრცე მოეწყო

ნაძალადევის **რაიონში, ზღვის უბნის X კვარტალში, №22 საბავშვო ბაღის წინ, ავტოსადგომად ქცეულ ტერიტორიაზე, სკვერი და სპორტული სივრცე მოეწყო. რეკრეაციული ზონის ფართობი 4 500 კვ.მ-ია. პროექტის ფარგლებში, მოეწყო ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები ტრიბუნებით, დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონები, დაირგო ნერგები, მოეწყო სარწყავი სისტემა, განათების ქსელი და საპარკე ინფრასტრუქტურა. ახალი დასასვენებელი სივრცე ნაძალადევის რაიონის გამგებელმა ირაკლი ხელაძემ საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ თამარ ტალიაშვილთან ერთად დაათვალიერა. ზღვის უბანში ახალი რეკრეაციული ზონის მოწყობისთვის ნაძალადევის რაიონის გამგეობამ ბიუჯეტიდან 260 000 ლარი გამოყო.**

„ჩაყლაპე ლუკმა-ლუკმა“

გალის მოსახლეობა დაცლის საფრთხეზე საუბრობს

„აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას მოსახლეობა ეთნიკურ ჯგუფებად – „აფხაზებად“ და „არააფხაზებად“ ჰყავს დაყოფილი, რაც პრივილეგიების იერარქიის შესაქმნელადაა გამოყენებული. თავად ეს დაყოფა ბევრ კითხვას აჩენს. ვინ არის „აფხაზი“ და ვინ არის „არააფხაზი“? რეალურად, „აფხაზი“ დღეს სოციალური ტერმინია და არა ეთნიკური. გალის რაიონში და ზოგადად აფხაზეთში მცხოვრები ქართველები არაპრივილეგირებულ ჯგუფებში მოიაზრებიან. მათ პრობლემებზე ბევრი დაწერილა და ბევრი გვსმენია. ვიცით, რომ მათთვის პრობლემაა ბინადრობის უფლების მოპოვება, უსაფრთხოება, თავისუფალი გადაადგილების, მშობლიურ ენაზე სწავლის უფლებები და ყოველდღიურ არსებობასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი საკითხი. ისინი ვერ სარგებლობენ იმ საბაზისო უფლებებითაც კი, რომელთაც ნებისმიერი მოქალაქე უნდა ფლობდეს, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და პოლიტიკური აქტიურობის უფლებებზე. მიუხედავად ამისა, ბევრმა ოჯახმა ამჯობინა, დარჩენილიყო აფხაზეთში და არ შეერთებოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალრიცხოვან ნაკადს. რასაკვირველია, ეთნიკურად ქართველი და შერეული ოჯახების აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრებას აქვს პოლიტიკური დატვირთვა. ერთი მხრივ, ეს ქმნის გარკვეულ რესურსს გაყოფილი საზოგადოების ორ მხარეს შორის ურთიერთობების დამყარება და სახალხო დიპლომატიისთვის. მეორე მხრივ, არააფხაზი ეთნიკური ჯგუფების ცხოვრება პოლიტიკურად მომგებიანი უნდა იყოს აფხაზეთის დე ფაქტო მმართველობისთვისაც, რადგანაც ეს მათ უქმნით ლეგიტიმურობის ერთგვარ საბურველს. მაგრამ არ დაგვავიწყდეს, **ჩვენ ვსაუბრობთ რეალურ ადამიანებზე და მათ გაუსაძლის ყოფაზე. ადამიანი და მისი ინტერესები კი უზენაესი უნდა იყოს თვით ყველაზე მწვავე პოლიტიკურ საკითხებსა და სახელმწიფო ინტერესზე საუბრისას“, – აცხადებს საერთაშორისო პოლიტიკის ექსპერტი გვანცა აბდალაძე აფხაზეთის ქართველებისგან შესაძლო დაცლის საფრთხეზე საუბრისას.**

აფხაზეთიდან ქართველი მოსახლეობის გამოდევნის მცდელობას იგი რუსეთის პოლიტიკის ნაწილად განიხილავს და აღნიშნავს, რომ **აფხაზეთზე საუბრისას სამი მხარის ინტერესი უნდა გამოვყოთ – საქართველოს სახელმწიფოს, აფხაზეთის დე ფაქტო მმართველი ელიტის და რუსეთის.**

ქართველი მოსახლეობის გამოდევნის სტრატეგიას სწორედ რუსული პოლიტიკის ამ კონტექსტში განვიხილავ. **შესაბამისად, აფხაზეთის ქართველებისგან დაცლა არც საქართველოს ლეგიტიმურ ინტერესშია და არც აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის. თუმცა ქართველებსა და აფხაზებს შორის ამჟამინდელი ურთიერთობა ორივე მხარეს უუნაროს გვხდის, საერთო ინტერესების იდენტიფიკაცია მოვახდინოთ. „გათიშე და იბატონე“, „ჩაყლაპე ლუკმა-ლუკმა“ – ყველა იმპერიული პოლიტიკის ბანალური, თუმცა ეფექტური იარაღია - რომის იმპერიიდან დაწყებული დღემდე“,** – აცხადებს ექსპერტი.

მისივე აზრით, საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ცალსახად მშვიდობიანი და სამართლებრივი უნდა იყოს, თუმცა აქტიური:

„აუცილებელია პრობლემის გააქტიურება საერთაშორისო ასპარეზზე და დაუღალავი მცდელობა, დავიცვათ საკუთარი ინტერესები მოკავშირეების, მეგობრებისა და საერთაშორისო სამართლის დახმარებით. რა საკვირველია, ამგვარი პოლიტიკის წარმოება რთულია, მოითხოვს დიდ მოთმინებასა და პროფესიონალიზმს, ასევე თანამიმდევრულობას და ნაკლებ ემოციას. **არათანამიმდევრულობა და გრძელვადიანი სტრატეგიული აზროვნების არქონა სწორედ ის – აქილევსის ქუსლია“,** რომელიც ჩვენს პოლიტიკას არაეფექტურს ხდის და ლეგიტიმაციას უკარგავს ხშირად ჩვენი მოკავშირეებისა და მეგობრების თვალშიც. ასევე აუცილებლად მიმაჩნია ქართველ საზოგადოებაში ცნობადობის გაზრდა აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით. საქართველოს მოქალაქემ უნდა იცოდეს, როგორია ყოველდღიური ცხოვრება და პრობლემები კედლის მიღმა დარჩენილი მოქალაქეებისთვის. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ნებისმიერ ადამიანზე, კედლის აქეთ თუ იქით. **ადამიანები ქმნიან სახელმწიფოს და არა სახელმწიფოები ადამიანებს“.**

რატომ დაბრუნდნენ ომის შემდეგ, რა შეიძლება, გახდეს სახლების დატოვების მიზეზი და რამდენად რეალურია დაცლის საფრთხე? – ამ თემებზე „აქცენტი“ ადგილობრივ მოსახლეობას ესაუბრა.

ნ.ბ: „ჩემი ოჯახი რომ დაბრუნდა, სკოლის მოსწავლე ვიყავი და რეალურად, საერთოდ არ მინდოდა სოფელში წამოსვლა. ბებიას და ბაბუას სხვაგან ცხოვრება ვერ წარმოედგინათ, ამიტომ დაუფიქრებლად ადგნენ და წამოვიდნენ. მაშინ არავის უფიქრია, ჩვენ, სკოლის მოსწავლეებს, შეგვეძლო თუ არა იქ კარგი განათლების მიღება. ერთადერთი საფიქრალი მშობლიური სახლი იყო და ჩემები საერთოდ არ ფიქრობდნენ იმაზე, რომ ომი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ომი ახლაც მიმდინარეობს, ოღონდ იარაღის ნაცვლად ყველა სხვა ფორმით. საბუთები, ჩაგვრა, შეზღუდული უფლებები და ის, რაზეც თავის დროზე ჩემს უფროსებს არ უფიქრიათ – განათლება. როცა სკოლის მოსწავლე ვიყავი, სხვამ გადაწყვიტა ჩემი ბედი, ახლა კი მე თვითონ უნდა ვიფიქრო ჩემს შვილებზე. ძალიან ცუდი არჩევანის წინაშე ვდგავარ. ჯერჯერობით ხავსს ვეჭიდებით, მაგრამ საბოლოოდ არჩევანის გაკეთება ალბათ, შვილებზე მომიწევს. არ მაქვს უფლება, მათი მომავალი დავანგრიო. მაქსიმუმ, ერთი წელიწადი და ალბათ, აქაურობას ჩვენი სახით ნ-სულიანი ოჯახი დატოვებს“.

ს.ბ: ჩვენ უკვე არ ვცხოვრობთ გალში. მიზეზი კრიმინალური მდგომარეობაა. ჩემი მოსწავლეობის პერიოდში ჯერ კიდევ ხერხდებოდა ქართულად კარგი განათლების მიღება, ამიტომ ეს არ ყოფილა სახლის დატოვების მიზეზი. ჩვენც, როგორც სოფლის მცხოვრებთა უმეტესობა, უბრალოდ საკუთარ სახლებში დავბრუნდით. ოჯახი ამუშავებდა მიწას, გვქონდა ბარაქიანი მოსავალი, სახლიც არ იყო დამწვარი და ამიტომაც დავბრუნდით. თუმცა მუდმივმა დაყაჩაღებამ და მიღებულმა სტრესმა აქ ცხოვრების გაგრძელების საშუალება არ მოგვცა. ძნელი იყო გადაწყვეტილების მიღება, თუმცა ბავშვების ფსიქიკა ნადგურდებოდა, რის გამოც მშობლებმა ასე გადაწყვიტეს. ახლა ენგურს გამოღმა ვცხოვრობთ და დაბრუნება ამ ეტაპზე არ განიხილება. მამა ხანდახან ჩადის ხოლმე“.

მოსახლეობისგან დაცლის მიზეზი:

სამხედრო ბაზები

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის შევიწროება დაიწყო. პირველი ნაბიჯი, რომელიც რუსულმა მმართველობამ გადადგა, გალის რაონში რუსული სამხედრო ბაზების მშენებლობა იყო, რასაც გადაადგილების შეზღუდვა მოჰყვა. მავთულხლართები, გამშვები პუნქტები, მასობრივი დაკავებები... დაჯარიმებები... დაპირებისამებრ, გალი სამხედრო ქალაქად იქცა.

პასპორტიზაცია

გადაადგილების შეზღუდვას პასპორტიზაცია მოჰყვა, რომელიც მალევე დასრულდა თავად აფხაზი მაღალჩინოსნების პროტესტის შედეგად. დე ფაქტო პარლამენტმა გააპროტესტა ქართველებისთვის ისეთივე უფლებების მინიჭება, როგორიც აფხაზებს ჰქონდათ. პასპორტიზაციის იდეა იდეად დარჩა და ვინც მოასწრო მისი აღება, სარგებლობა მხოლოდ 2018 წლის ბოლომდე შეძლო. დანარჩენებმა 2008 წლიდან დღემდე უამრავი სხვადასხვა საბუთი გამოიცვალეს. იყო ე.წ. ფორმა ნომერი ცხრა და ე.წ. წითელი (საბჭოთა) პასპორტი, რომელიც უკვე აღარ მოქმედებს. მოქმედ საბუთად ამ ეტაპზე ქართველებისთვის ე.წ. ბინადრობის უფლება რჩება, რომელიც ქართველებს მხოლოდ „საზღვარზე“ გადაადგილების უფლებას აძლევს.

ადგილობრივები იმასაც ამბობენ, რომ აღნიშნული საბუთიც დროებითია და აფხაზური მხარე ახლა კიდევ რამე ახალს მოიგონებს, რათა ფულის შოვნის ახალი გზა გამოძებნოს.

ცნობისთვის, ბინადრობის საბუთის აღება ადგილობრივ ქართველებს 500 ლარამდე უჯდებათ.

ჯანდაცვა

ჯანდაცვის საკითხი ადგილობრივი მოსახლეობისთვის ერთ-ერთ დიდ პრობლემას წარმოადგენს. ადგილობრივი ჯანდაცვა აფხაზეთის ტერიტორიაზე ელემენტარული, პირველადი დახმარების გაწევის დონეზეც კი არ არის განვითარებული. ჩვენთვის ცნობილია ადგილზე დაშვებული არაერთი შეცდომის შესახებ.

მძიმე მდგომარეობაა მშობიარობის მხრივაც: შესაბამისი ინვენტარისა და პროფესიონალი კადრების არარსებობის გამო ხშირად ფატალური შედეგი დგება.

ჩვენთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ კადრების არარსებობის გამო ვერ მოხერხდა კარდიოლოგიური კლინიკის გახსნა.

ჯანდაცვის კუთხით მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ უფასო ჯანდაცვის პროგრამას, რომელიც საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აფხაზებისთვის მოქმედებს. ისინი სრულიად უფასოდ იღებენ ყოველგვარ სამედიცინო დახმარებას. აღნიშნული ერთი მხრივ, დადებითად მოქმედებს აფხაზ საზოგადოებაში კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

ეკონომიკური კრიზისი

ადგილობრივებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას ამ ეტაპზე ადგილზე არსებული ეკონომიკური კრიზისი წარმოადგენს. თუ აქამდე სამუშაო ადგილების არარსებობა იყო მთავარი პრობლემა, დღეს აღნიშნულს სოფლის მეურნეობის კუთხის მოსავლის განადგურებაც დაემატა. ფაროსანას შემოტევას შემოსავლის მთავარი წყაროს – თხილის მოსავლის განადგურება მოჰყვა, ასევე განადგურდა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

სკოლა და ქართული სწავლება

მოსახლეობისგან დაცლის საფრთხის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიზეზია სკოლა.

გალის რაიონში სკოლების არსებობას ყველაზე დიდი დატვირთვა აქვს, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ ქართველობის შემანარჩუნებელ ერთ-ერთ კერას. ამიტომაც სწორედ სკოლაზე დაიწყო ცალკე დარტყმა, რაც მათ დახურვასა და ქართული სწავლების აკრძალვაში გამოიხატა. ამას ემატება ქართული ენის სრულად ამოღების მუქარა და გაორმაგებული შეტევები ქართულ სწავლებაზე და სკოლებზე.

ACCENTNEWS.GE

ახალგორელი აქტივისტი საქართველოს ხელისუფლებას მიმართავს

ოკუპირებულ ახალგორში მცხოვრები სამოქალაქო აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი საქართველოს ხელისუფლებას მიმართავს და დახმარებას სთხოვს.

მეარაყიშვილი სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს და იმ პრობლემებზე წერს, რაც ოკუპირებულ რაიონში ე.წ. გამშვები პუნქტების დაკეტვის შემდეგ შეიქმნა.

„131 დღეა, ჩვენი რაიონის მოსახლეობა მძევლადაა აყვანილი. 10-მდე ადამიანი გარდაიცვალა მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახებს არ მიეცათ თბილისში ტრანსპორტირების უფლება.

მძიმე ავადმყოფები დაკეტილი გზის გამო ვერ ახერხებენ დაგეგმილ ქიმიოთერაპიის კურსზე წასვლას. პენსიონერები, ვისთვისაც ერთადერთი შემოსავალი საქართველოს მოქალაქის პენსიაა, აგვისტოს თვიდან შემოსავლის გარეშე არიან დარჩენილი. არ ვიცი, შეშას როგორ ყიდულობენ ან სინათლის გადასახადს როგორ იხდიან.

მე შვილი მენატრება, რომელიც ვერ ახერხებს ჩამოსვლას. გადაადგილების ერთადერთი გზა დღეს სინაგურია, რომლის გავლითაც ცხრა საათი უნდა იარო, თბილისამდე რომ ჩააღწიო. ეს გზა ძვირიცაა და ყველას არც შეუძლია დოკუმენტის (საშვი) არ არსებობის გამო. საშვებს დეკემბერში გაუვიდა მოქმედების ვადა. ვადის გაგრძელებას ხელის ერთი მოძრაობა სჭირდება – თარიღის და ბეჭდის დასმა, თუმცა თვეები ანდომებენ ამაზე ფიქრს და მოსახლეობის დიდ ნაწილს საშვი არა აქვს. გზა რომც გახსნან პენსიონერებისთვის რამდენიმე დღით, საშვი არა აქვთ და ფიზიკურად ვერ შეძლებენ გადაადგილებას და ადგილობრივი ხელისუფლება იტყვის, რომ „არ ისარგებლეს“. თქვენ მეტი ძალა გაქვთ, გადასცეთ ჩვენი მძიმე მდგომარეობის შესახებ ხელისუფლებას.

ვითხოვთ გადაადგილების თავისუფლებას მიმართეთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ან მოელაპარაკეთ გადაწყვეტილების მიმღებ ძალას, რომ ადამიანებს გზის გახსნაზე პირობა თავად მოეძებნოს“, – წერს თამარ მეარაყიშვილი.

დარწმუნებით შეიძლება თქმა, რომ ა.წ. 9 იანვარს კაცობრიობა შიშნარევი გრძნობით ელოდა აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის განცხადებას, ირანის ისლამური რესპუბლიკის მიერ ერაყში განლაგებულ ორ ამერიკულ სამხედრო ბაზაზე მიტანილ სარაკეტო თავდასხმასთან დაკავშირებით.

ირანის ისლამური რესპუბლიკის მეთაურის, სულიერი ლიდერის აიათოლა ხამენეის მიერ, აშშ-ის პრეზიდენტის ტრამპის ბრძანებით მოკლული ირანელი გენერლის ყასემ სოლეიმანის დაკრძალვისას გაკეთებული განცხადების მიხედვით ირანის საპასუხო მოქმედება უდავოდ უნდა ყოფილიყო შურისძიების გამომხატველი, თანაც ისეთი, აშშ-ს რომ მრავალი წლის განმავლობაში არ დაავიწყდებოდა.

8 იანვრის გამთენიას ირანმა დაბომბა ერაყში არსებული აშშ-ის 2 სამხედრო ბაზა. ირანის ზოგიერთი საინფორმაციო წყაროს მიხედვით, სარაკეტო თავდასხმამ 60 ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა. აშშ-ის პრეზიდენტმა კი განაცხადა, რომ დაბომბვას არც მსხვერპლი და არც ნგრევა არ მოჰყოლია.

მსხვერპლის დამალვა, თანაც 60 ჯარისკაცის, არცთუ იოლი საქმეა. როგორც ჩანს აქ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე – ისეთთან, ოფიციალურ ირანთან რომ არის დაკავშირებული – სილის გაწვნა. მხოლოდ სილის გაწვნისთვის იყო ამდენი ხმაური ატეხილი და არა შურისძიებისთვის? არის თუ არა ირანის მხრიდან ესოდენ „რბილი“, შემწყნარებლური მოქმედება აშშ-ის შიშით გამოწვეული? რატომ დაინდო ირანმა აშშ?

სილა თუ შურისგება?!

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კაცობრიობა ისე ახლოს არ ყოფილა კატასტროფასთან, როგორც 8 იანვარს. 8 იანვარი გაცილებით სახიფათო თარიღი იყო, ვიდრე „ცხელი დღეები“ – კარიბის კრიზისით გამოწვეული.

ახალგაზრდა სოციალისტური კუბის დასაცავად კრემლმა მაშინ მალულად განალაგა რაკეტები კუბაზე, რითაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა ბირთვულ სახელმწიფოს. ამერიკამაც არ დააყოვნა და ულტიმატუმით აიძულა საბჭოთა კავშირი, უკან დაეხია.

იმ შემთხვევაში კენედის გონიერებამ იმძლავრა, რამაც არა მარტო კუბა გადაარჩინა ჩაძირვას, არამედ მსოფლიო. მაშინ კენედიმ მიმართა ამერიკელ ხალხს, გაგებით შეხვედროდა უმძიმეს გადაწყვეტილებას – კუბის დაბომბვას და სსრკ-თან სამხედრო კონფლიქტის დაწყებას. 2020 წლის 8 იანვარსაც აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა მიმართა ამერიკასა და მსოფლიოს, ირანის საჰაერო თავდასხმის პასუხად.

კუბის კრიზისის დროს 2 ბირთვული სახელმწიფო იდგა ერთმანეთის წინააღმდეგ. 2020 წლის იანვრის კრიზისის დროს ერთი ბირთვული სახელმწიფო, არაბირთვული ირანის წინააღმდეგ, რაც თავისთავად ბირთვულ ამერიკას პრიორიტეტულობას ანიჭებდა. ირანს რომ ბირთვული იარაღი ჰქონოდა (რისი შექმნის სრული შესაძლებლობა ჰქონდა), აშშ თავშეკავებულად მოიქცეოდა.

საერთაშორისო არენაზე ბირთვული იარაღი დამბალანსებლის როლს ასრულებს. რომ არა ის, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არაერთ ომს ექნებოდა ადგილი, ისეთივე მსხვერპლით, თუ არანაკლებით. ხალხში ამბობენ კუბის კრიზისის დროს აშშ-მა ჭიტლაყი ამოჰკრა სსრკ-ს და კუბიდან გამოაგდოო. სინამდვილე კი ასეთია – ორივე მხარე დათმობაზე წავიდა. აშშ-მა საბოლოოდ აიღო ხელი კუბის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიაზე, თურქეთიდან გაიტანა სსრკ-ზე დამიზნებული ბირთვული რაკეტები, ხოლო სსრკ-მა კუბიდან გამოიტანა აშშ-ზე დამიზნებული რაკეტები.

2020 წლის 8 იანვრის ირანულ თავდასხმას მოჰყვა აშშ-ის პრეზიდენტის ტრამპის განცხადება – არა აგრესიული, არა პროვოკაციული, არა საომარი, არამედ შემრიგებლური, რაც გონივრული პასუხი იყო ირანის „გონივრულ დაბომბვაზე“. ტრამპმა გაგებით შეაფასა ირანის საპასუხო მოქმედება.

იბადება კითხვა – შეეძლო თუ არა ტრამპს ირანის საჰაერო „თავდასხმა“ სერიოზულ გამოწვევად ჩაეთვალა და ომი გამოეცხადებინა მისთვის? შეეძლო.

შეეძლო თუ არა ირანს გენერალ ყასემ სოლეიმანის მკვლელობის შურისძიებისთვის ერაყის გაუფრთხილებლად დაებომბა აშშ-ის სამხედრო ბაზები? შეეძლო, მაგრამ მან გააფრთხილა ერაყის ხელისუფლება იმ ანგარიშით, რომ ამ უკანასკნელს გაეფრთხილებინა აშშ, რომელმაც სამხედრო მოსამსახურეები თავშესაფარში გადაიყვანა.

რა მისცა საჰაერო თავდასხმამ ირანს?

უპირველესად ის, რომ აშშ-ს დაანახვა – მასაც აქვს ბალისტიკური რაკეტები, რითაც შეუძლია ამერიკული ანტისარაკეტო სისტემის გარღვევა; რომ ირანი ტოლს არ დაუდებს ბირთვულ სახელმწიფოს, თუნდაც ასიმეტრიულ ომში. გარდა ამისა ირანმა ჯენტლმენური სილა გააწნა გონდაკარგულ ამერიკას, რომელმაც სრულიად გამიზნულად მოკლა ირანელი გენერალი.

გენერალ ყასემ სოლეიმანის განადგურების შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტის და მისი ადმინისტრაციის განცხადებები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამერიკელები გენერლის მკვლელობას იმით ხსნიან, რომ ყასემ სოლეიმანი ტერორისტი იყო და ხელები ამერიკელთა სისხლით ჰქონდა დასვრილი.

აშშ-ის ოფიციალურ პირთა განცხადებით, გენერალი ყასემ სოლეიმანი გეგმავდა ამერიკელ სამხედროებზე თავდასხმას. გენერალი, თავისი სამხედრო წოდებიდან და თანამდებობიდან გამომდინარე, იყო ჩართული სირია-ერაყში არსებული ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ ომში – ირანის მეთაურის სულიერი ლიდერის დავალებით.

სირია-ერაყში მიმდინარე ანტიტერორისტული ომი არა მარტო ტერორისტთა წინააღმდეგ არის მიმართული, არამედ პირდაპირ თუ ირიბად აშშ-ისა და მისი მოკავშირეების, რომელთა (განსაკუთრებით ამერიკელთა) ორმაგმა სტანდარტმა სირია-ერაყი საომარ არენად აქცია – მოსახლეობის უდიდესი მსხვერპლით, ლტოლვილებით, ნგრევით, შიმშილით და ა.შ.

ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდებას მოჰყვა დასავლეთის ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში გავლენის სფეროების მოპოვებისთვის. სირია-ერაყის მმართველები, რომლებიც შეეწინააღმდეგნენ კოლექტიურ დასავლეთს, უმალ გამოცხადდნენ ომის გამჩაღებლად, ტერორისტებად და საკუთარი ხალხის მჩაგვრელებად, რომელთა „დახსნა“ ჯალათთა კლანჭებიდან აშშ-მა აიღო თავის თავზე და შეიჭრა ერაყში, შემდეგ, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ გამოყენებით, სირიაში. რუსეთის, ირანის, მოგვიანებით თურქეთის ძალისხმევის გამოუყენებლად სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს ისეთივე ბედი ეწეოდა, როგორიც ერაყის სადამ ჰუსეინს (ჩამოხრჩობა).

ახლა, რაც შეეხება ბოლო შემთხვევას, რამაც გამოიწვია აშშ-ის გაგულისება. 27 დეკემბერს, ქ.კირკუკთან არსებულ აშშ-ის სამხედრო ბაზას რაკეტები დაუშინეს, რის შედეგად ერთი ჯარისკაცი დაიღუპა, რამდენიმე კი დაიჭრა. ამერიკელებმა თავდასხმაში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მებრძოლო „ჰესბოლა“ დაადანაშაულა და 2 დღის შემდეგ სასტიკად დაბომბა მისი სამხედრო ბაზა, რასაც 25 მებრძოლის მოსპობა მოჰყვა.

ამერიკელთა ქმედებით გაღიზიანებულმა ერაყელებმა, 2 დღის შემდეგ ალყაში მოაქციეს ქ.ბაღდადში აშშ-ის საელჩო, შენობაშიც შეიჭრნენ და რომ არა ცრემლსადენი გაზი, რაც საელჩოს ამერიკელმა დაცვამ გამოიყენა, ძნელი წარმოსადგენია, რით დამთავრდებოდა გაშმაგებული დემონსტრანტების შეტევა.

ამერიკელებმა აღნიშნულ ქმედებაში ირანის ხელი ივარაუდეს, განსაკუთრებით ირანის ისლამური რესპუბლიკის გუშაგთა ხელმძღვანელის ყასემ სოლეიმანის, რომელიც ხშირად სტუმრობდა ერაყ-სირიას. ამჯერადაც საუდის არაბეთში დიპლომატიური დანიშნულებით მიმავალი გენერალი ბაღდადში შეჩერდა. ერაყის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მას საუდის არაბეთის ხელმძღვანელობისთვის გადასაცემი ირანის მმართველთა წერილი მიჰქონდა.

ზემომოყვანილი მაგალითები იძლევა თუ არა ირანელი გენერლის განადგურების საფუძველს?

აშშ-ის პრეზიდენტმა და სახელმწიფო მდივანმა, თავის მართლების მიზნით, გენერალს ტერორისტი შეარქვეს, რომელიც თურმე დირიჟორობდა აშშ-ის საელჩოზე თავდასხმას, ამზადებდა ტერორისტულ აქტებს ევროპასა და ამერიკაში; რომ გენერალს არაერთი ამერიკელი ჰყავს მოკლული და ა.შ.

გენერლის მკვლელობა აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ და მისმა ლიდერმა ნენსი პელოსიმ პროვოკაციად შეაფასა და „თეთრ სახლს“ მოსთხოვა ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის საბუთი, რამაც გადააწყვეტინა ტრამპს გენერლის მოსპობის ბრძანების გაცემა. კონგრესმა მოგვიანებით მოუსმინა სპეცსამსახურებს და პრეზიდენტს აუკრძალა ირანის წინააღმდეგ რაიმე ქმედების განხორციელება მის დაუკითხავად.

17 წელია, ამერიკელები ავღანეთსა და ერაყში აწარმოებენ ომებს, რომელთა დასასრულს ბოლო არ უჩანს. ბუშიდან დაწყებული ყველა პრეზიდენტი ობამა, ტრამპი არწმუნებდნენ ამერიკელებს და მსოფლიოს, რომ შეწყვეტდნენ ომს და ჯარს დააბრუნებდნენ სამშობლოში, თუმცა დაპირება დაპირებად რჩება. თვით ტრამპი, წინასაარჩევნო კამპანიიდან დაწყებული აცხადებდა, რომ ამერიკას არაფერი ესაქმება ავღანეთსა და ერაყში, თითქოს სირიიდან დაიწყო ჯარის გამოყვანა, მაგრამ ბოლო წუთში გადაიფიქრა და ნავთობით მდიდარ რაიონებში დატოვა, ამერიკელი მენავთობეების უსაფრთხოების დასაცავად.

ერაყის საკანონმდებლო ორგანოს ბოლო გადაწყვეტილებაზე, აშშ-ის ჯარების ერაყიდან გაყვანის მოთხოვნით, ტრამპმა უკმეხად გასცა პასუხი – არსადაც არ გავიყვანო. ამ განცხადების, სამართლიან ჩარჩოებში მოსაქცევად, დაამატა – არ გავალ, ვიდრე ერაყი არ გადაიხდის აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ბაზების მშენებლობაში გაწეულ ხარჯებს, რაც მისივე გაანგარიშებით მილიარდობით დოლარს შეადგენს.

თუ ერაყის ხელისუფლება აშშ-ის სამხედრო კონტიგენტის გაყვანას მოითხოვს, მაგრამ პასუხად აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებას იღებს – არსადაც არ გავალო – ნიშნავს თუ არა სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტის შებღალვას, ოკუპაციას?

ერაყ-ამერიკის „დიალოგმა“ მსოფლიოს დაანახვა ამერიკის „ახალი“ სახე, თუმცა არიან ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, რომელიც მონუსხულივით შეჰყურებს ვაშინგტონს და ყელგამოწვდილი ეხვეწება სამხედრო ბაზების გახსნას. ზოგი ე.წ. პოლიტიკოსი მარტო სამხედრო ბაზაზე არ ყაბულდება, მას ამ ბაზაზე რუსეთისთვის დამიზნებული ბირთვული იარაღის განლაგებაც სურს.

სამწუხაროდ, ნათელაშვილი მარტო არ არის, ბერძენიშვილები, მაჭავარიანები, გვარამიები, სხვებიც ბანს აძლევენ. ცხადია, მათ მოთხოვნას შედეგი არ მოჰყვება – ჯერ, მაგრამ, საზოგადოებას ნელ-ნელა, მეთოდურად აჩვევენ ამ „გენიალურ“ აზრს. დავუშვათ, აშშ-მა მართლაც გახსნა საქართველოში სამხედრო ბაზები, რასაც ამერიკელი სამხედროები და პოლიტიკოსებიც უჭერენ მხარს, შეძლებს ოდესმე, მომავალში საქართველო ამ ბაზების გაყვანას?!

გარდა ამისა, ბაზების გახსნისთვის ფული საჭირო, ანუ საქართველომ ყოველწლიურად ფული უნდა გადაიხადოს ე.წ. ამერიკულ თავდაცვაში, თან საკმაოდ მნიშვნელოვანი.

გენერალ ყასემ სოლეიმანის მოსპობას მოულოდნელად მოჰყვა ისეთი პოლიტიკური ძვრები, მსგავსს რომ ადგილი არ ჰქონია ბოლო 70 წლის განმავლობაში – შეპასუხება დიდი, ძლიერი, ბირთვულკვერთხიანი ამერიკისთვის. დასაწყისში, კუბის კრიზისი გავიხსენეთ, მაგრამ მაშინ გასროლას ადგილი არ ჰქონია. 2020 მოვლენებისას გასროლას ჰქონდა ადგილი – ირანის მხრიდან – „მშვიდობიან“, უმსხვერპლოს, მაგრამ აშშ-ის გავლენისთვის მომაკვდინებელს.

70 წლის განმავლობაში არც ერთ სახელმწიფოს, მათ შორის არც რუსეთს და არც ჩინეთს, არ უქნია ის, რაც ირანმა გაუბედა აშშ-ს. და არა მარტო გაუბედა, გააფრთხილა კიდეც, თუ ის ირანის სუვერენიტეტს შებღალვას? სარაკეტო თავდასხმა სისხლიანი იქნება.

8 იანვარმა მსოფლიო პოლიტიკურ სცენაზე სახიფათო შესწორებები შეიტანა, რაც ჰეგემონის წინააღმდეგ ხმის ამოღებას ნიშნავს, ანუ ჰეგემონის პოზიციების შერყევას. ამერიკის ადმინისტრაციამ დაინახა თანამედროვე ირანის სიძლიერე, ხალხის სულიერი სიმტკიცე, ამტანობა, გამბედაობა, რის წინააღმდეგაც წერტილოვანი თავდასხმები ნაკლებშედეგიანი იქნება, ხოლო ხანგრძლივი ომი – ვიეტნამის მსგავსი, დამღუპველი.

8 იანვარმა ტრამპს და მის ადმინისტრაციას თვალები აუხილა, ამიტომაც გააკეთა მან განცხადება, რომ მზად არის, დაუბრუნდეს მოლაპარაკების იმ ფორმატს, რადგანაც გავიდა.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

„თვითმფრინავის საქმეზე“ ირანში ორი ადამიანი დააკავეს

ირანში დააკავეს ორი ადამიანი, რომლებიც „უკრაინის ავიახაზების“ თვითმფრინავის ჩამოგდებაში არიან ეჭვმიტანილი. ინფორმაციას Reuters ირანის სასამართლო სისტემის წარმომადგენელზე გოლომჰოსეინ ესმაილზე დაყრდნობით ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, ამ დროისთვის დაკავებულების შესახებ მეტი დეტალი არ არის ცნობილი.

თვითმფრინავის ჩამოგდებაზე პასუხისმგებლობა ელიტურმა სამხედრო ქვედანაყოფმა, „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსმა“ აიღო. ამის შემდეგ თეირანში აიათოლა ალი ხამენეის გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქციები დაიწყო. აქციაში მონაწილეობის გამო პოლიციამ ირანში დიდი ბრიტანეთის ელჩი რამდენიმე საათით დააკავა.

ირანის ხელისუფლებამ 3-დღიანი დაგვიანებით აღიარა, რომ „შემთხვევით ჩამოაგდო“ „უკრაინის საერთაშორისო ავიახაზების“ Boeing 737 და 176 ადამიანი მოკლა. სამოქალაქო ავიაციის ისტორიაში შეცდომით ან შეგნებულად სამოქალაქო ავიალაინერების ჩამოგდება არაერთხელ მომხდარა. „ამერიკის ხმა“ ყველაზე გახმაურებულ შემთხვევებს გაგახსენებთ.

1938–2020: შემთხვევით ან შეგნებულად ჩამოგდებული სამოქალაქო თვითმფრინავები

1938 – იაპონიამ ჩინეთის DOUGLAS DC-2 ჩამოაგდო

1938 წლის 24 აგვისტოს ჩინეთის ეროვნული საავიაციო კორპორაციის კუთვნილი Douglas DC-2 ჰონკონგიდან უჩჟოუში მიფრინავდა, რა დროსაც იაპონიის რვა სამხედრო თვითმფრინავი დაესხა თავს. ეს ინციდენტი ითვლება ავიაციის ისტორიაში, სამოქალაქო ლაინერის ჩამოგდების პირველ შემთხვევად. ამერიკელმა მფრინავმა ჰიუ ვუდსმა, რომელიც DC-2-ს მართავდა, ალმოდებული თვითმფრინავი მდინარეზე დასვა, თუმცა იაპონელებმა ლაინერის დაცხრილვა ჰაერიდან ისევ გააგრძელეს. 17 მგზავრიდან 14 დაიღუპა ცეცხლსასროლი ჭრილობით ან დაიხჩო. 2 ამერიკელი მფრინავი და 1 მგზავრი გადარჩა. იაპონელებს ჰქონდათ არასწორი ინფორმაცია, რომ DC-2-ით ჩინეთის პრეზიდენტის ერთადერთი ვაჟი მგზავრობდა.

1954 – ჩინეთმა ჰონკონგის DOUGLAS C-54 ჩამოაგდო

1954 წლის 23 ივლისს, ჰონგ-კონგის ავიაკომპანია Cathay Pacific Airways-ის ბორტი Douglas C-54 ბანგკოკიდან ჰონგ-კონგის მიმართულებით მიფრინავდა, კუნძულ ხაინანთან ლაინერს ჩინეთის ორმა ავიაგამანადგურებელმა, საბჭოთა წარმოების Lavochkin La-11-მა ცეცხლი გაუხსნა. 19-დან 10 მგზავრი ჰაერშივე ცეცხლსასროლი ჭრილობით დაიღუპა, მათ შორის, ტაივანის ერთი მინისტრი. ბრიტანელმა მფრინავმა შეძლო და C-54 ღია ზღვაში დასვა. 9 ადამიანმა გადარჩენა გასაბერი ნავის დახმარებით მოახერხა.

1955 – ბულგარეთმა ისრაელის LOCKHEED L-049 ჩამოაგდო

1955 წლის 27 ივლისს ისრაელის ავიაკომპანია El Al-ის ლაინერი Lockheed L-049, რომელიც ლონდონიდან თელ-ავივში მიფრინავდა, შეცდომით ბულგარეთის საჰაერო სივრცეში შევიდა. თვითმფრინავს, რომლის ბორტზეც ეკიპაჟის ჩათვლით 58 ადამიანი იმყოფებოდა, ბულგარეთის საჰაერო ძალების ორმა MIG-15-მა ცეცხლი გაუხსნა და ქალაქ პეტრიჩის სიახლოვეს ჩამოაგდო. ყველა მგზავრი დაიღუპა.

1973 – ისრაელმა ლიბიის BOEING 727 ჩამოაგდო

1973 წლის 21 თებერვალს, Libyan Arab Airlines-ის Boeing 727, რომელიც ტრიპოლიდან ბაჰრეინში მიფრინავდა, შეცდომით სინაის ნახევარკუნძულზე აღმოჩნდა, რომელსაც მაშინ ისრაელი აკონტროლებდა. ისრაელის ორმა F-4E ტიპის ავიაგამანადგურებელმა ბორტს დაჯდომა მოსთხოვა. მას შემდეგ კი, რაც ბოინგმა ფრენა გააგრძელა, ცეცხლი გაუხსნა. მფინავებმა დაზიანებული ლაინერის მიწაზე დასმა შეძლეს, თუმცა ქარის მიერ დაგროვილი ქვიშის ბორცვს – დიუნას შეასკდნენ. 108 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ლიბიის ინფორმაციის მინისტრი. მხოლოდ 5 გადარჩა.

1978 – სსრკ-მა სამხრეთ კორეის BOEING 707 ჩამოაგდო

1978 წლის 20 აპრილს, სამხრეთ კორეის ავიაკომპანია Korean Air Lines-ის Boeing 707 პარიზიდან სეულში მიფრინავდა. ბორტი შეცდომით, კოლის ნახევარკუნძულის თავზე, სსრკ-ს საჰაერო სივრცეში შევიდა. საბჭოთა ავიაგამანადგურებელმა SU-15-მა ბორტს ცეცხლი გაუხსნა და ჰაერშივე 2 მგზავრი მოკლა. მფრინავებმა შეუძლებელი შეძლეს და დაზიანებული ბოინგი კარელიაში, კოპრიიარვის გაყინულ ტბაზე დასვეს და 107 ადამიანი გადაარჩინეს.

1978-79 – ზიმბაბვემ AIR RHODESIA-ს ორი ლაინერი ჩამოაგდო

1978 წლის 3 სექტემბერს, არაღიარებული აფრიკული ანკლავის როდეზიის ავიაკომპანია Air Rhodesia-ᲒᲔ Vickers Viscount-ის ტიპის ლაინერი, ვიქტორიას ჩანჩქერიდან სოლსბერიში (ახლანდელი ჰარარე) მიფრინავდა. ქალაქ კაროის თავზე თვითმფრინავს ზიმბაბვეს „სახალხო-რევოლუციური არმიის“ (ZIPRA) მებრძოლებმა საბჭოთა წარმოების “სტერა-2“ ესროლეს. იძულებითი დაჯდომის დროს ლაინერი სრულად დაიშალა, 52-დან 38 მგზავრი დაიღუპა. მოგვიანებით ამბოხებულები ავიაკატასტროფის ადგილზე მივიდნენ და 10 გადარჩენილი მგზავრი ადგილზე დახვრიტეს. ხუთი ადამიანი სასწაულებრივ გადარჩა, რადგან ჩამოვარდნის შემდეგ სასმელი წყლის საძებრად გაემართნენ.

1979 წლის 12 თებერვალს ZIPRA-ს მეამბოხეებმა Air Rhodesia-ს კიდევ ერთი Vickers Viscount-ის ტიპის ლაინერი ჩამოაგდეს, ამჯერად 59 ადამიანი დაიღუპა. ავიაკატასტროფა ქალაქ კარიბას თავზე მოხდა.

1980 – ITAVIA-ს MCDONNELL DOUGLAS-ის ბურუსით მოცული ჩამოგდება

1980 წლის 27 ივლისს, იტალიის ავიაკომპანია Itavia-ს ბორტი McDonnell Douglas DC-9 ბოლონიიდან სიცილიაში მიფრინავდა და უსტიკას კუნძულის სიახლოვეს, ტირენიის ზღვაში ჩავარდა. ბორტზე მყოფი ყველა 81 ადამიანი დაიღუპა. ბოლო 30 წლის მანძილზე სამმა გამოძიებამ ზუსტად ვერ დაადგინა, თუ რამ გამოიწვია DC-9-ს ჩამოვარდნა. მთავარ ვერსიად რჩება რაკეტის მოხვედრა, რაც შესაძლოა გაესროლა ან ფრანგულ ან ლიბიურ ავიაგამანადგურებელს. ზუსტად 27 ივლისს, იმ რაიონში, სადაც McDonnell Douglas-ი ჩამოვარდა, NATO-ს რამდენიმე ავიაგამანადგურებელი ლიბიური MIG-ის დევნას ახორციელებდა. 2011 წელს, პალერმოს სასამართლომ იტალიის მთავრობას დაღუპულთა ოჯახებისთვის 100 მილიონი ევროს ოდენობის კომპენსაციის გადახდა დააკისრა.

1983 – სსრკ-მ სამხრეთ კორეის BOEING 747 ჩამოაგდო

1983 წლის 1 სექტემბერს, საბჭოთა SU-15-მა სამხრეთ კორეის ავიაკომპანია Korean Air Lines-ის Boeing 747 ჩამოაგდო. ლაინერი, რომელის ბორტზეც 269 მგზავრი იყო, ნიუ-იორკიდან სეულში მიფრინავდა, რა დროსაც შეცდომით საბჭოთა საჰაერო სივრცეში კამჩატკისა და სახალინის თავზე აღმოჩნდა. საბჭოთა ავიაგამანადგურებლის მფრინავი არ ეცადა კორეულ Boeing 747-თან კავშირის დამყარებას, მიწიდან ბრძანების შემდეგ კი სამოქალაქო ლაინერს ორი K-8 ტიპის რაკეტა ესროლა, რის შემდეგაც თვითმფრინავი ლაპერუზის სრუტეში ჩავარდა, ყველა 269 მგზავრი დაიღუპა.

1988 – აშშ-მა ირანის AIRBUS A300 ჩამოაგდო

1988 წლის 3 ივლისს, ირანის ავიაკომპანიის Iran Air-ის ბორტი Airbus A300, რომელიც ასრულებდა რეისს თეირანი-ბენდერ-აბასი-დუბაი სპარსეთის ყურეში ჩავარდა. ბენდერ-აბასის აეროპორტიდან აფრენის შემდეგ, ლაინერს „მიწა ჰაერის“ ტიპის რაკეტა მოხვდა, რომელიც ამერიკული სარაკეტო კრეისერ USS Vincennes-იდან იქნა ნასროლი. ბორტზე მყოფი ყველა 290 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 65 ბავშვი. უმრავლესობა ირანის მოქალაქე იყო. აშშ-ის მთავრობამ კომპენსაციის სახით დაღუპულთა ოჯახებს 62 მილიონი დოლარი გადაუხადა.

1993 – რუსეთმა საქართველოს ოთხი TU-134 და TU-154 ჩამოაგდო

1993 წლის სექტემბრის ბოლოს, ალყაში მყოფი სოხუმის დაცემამდე, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ქართული ავიაკომპანიების Transair Georgia-ს, ORBI Georgian Airways-ის და სოხუმის ავიაბაზის ხუთი სამოქალაქო ბორტი გაანადგურეს. 20 სექტემბერს, ბაბუშერას აეროპორტში რუსული საარტილერიო შეტევის შედეგად „ორბის“ კუთვნილი TU-134 დაიწვა, არავინ დაღუპულა.

21 სექტემბერს, რუსებმა სტრელა 2-ით Transair Georgia-ს TU-134 ჩამოაგდეს, რომელიც ადლერიდან სოხუმში მოფრინავდა, ლაინერი შავ ზღვაში ჩავარდა, ყველა 28 მგზავრი დაიღუპა, უმრავლესობა ჟურნალისტები, მათ შორის Wall Street Journal-ის ფრილანსერი.

22 სექტემბერს, რუსებმა ისევ Transair Georgia-ს TU-154 ჩამოაგდეს, რომელიც თბილისიდან სოხუმში მიფრინავდა. მფრინავმა შეძლო დაზიანებული ბორტის ბაბუშერაში დასმა, სადაც თვითმფრინავი აფეთქდა და მგზავრთა უმრავლესობა ცოცხლად დაიწვა. 132 მგზავრიდან და ეკიპაჟის წევრიდან 108 დაიღუპა. რუსებმა ლაინერს BM-21 Grad-ის სისტემიდან ესროლეს.

23 სექტემბერს, BM-21 Grad-ის რაკეტა ბაბუშერას აეროპორტის ასაფრენ ბილიკზე მდგომ Transair Georgia-ს TU-134-ს მოხვდა, რომელშიც 30 ადამიანი იმყოფებოდა. ლაინერს ცეცხლი გაუჩნდა, სასწრაფო ევაკუაციის დროს კი ერთი მგზავრი დაიღუპა.

წლების მანძილზე, რუსეთი ამ სასტიკ დანაშაულს „აფხაზ სეპარატისტებს“ და „დაქირავებულებს“ მიაწერდა, თუმცა მრავალი წყაროს ცნობით, ტერორისტული აქტების უკან, როგორც ბირცხას მთაზე, ისე „აფხაზურ კატარღებზე“ განლაგებული რუსეთის არმიის არტილერისტები იდგნენ.

1998 – „თამილმა ვეფხვებმა“ შრი ლანკის ANTONOV AN-24 ჩამოაგდეს

1998 წლის 29 სექტემბერს შრი ლანკის ავიაკომპანია Lionair-ის კუთვნილი ბორტი Antonov An-24 სეპარატისტული ჯაფნადან კოლომბოსკენ გაფრინდა. An-24-ს ბელარუსი პილოტი მართავდა, ბორტზე 55 მგზავრი იყო. კუნძულ ირანაიტივუს სიახლოვეს ბორტი ტერორისტულმა დაჯგუფება „თამილმა ვეფხვებმა“ შეცდომით ჩამოაგდეს, ყველა – 55 მგზავრი დაიღუპა, უმრავლესობა თამილები იყვნენ.

2001 – უკრაინამ რუსეთის TU-154 ჩამოაგდო

2001 წლის 4 ოქტომბერს, რუსული ავიაკომპანია Siberia Airlines-ის ბორტი TU-154 თელ-ავივიდან ნოვოსიბირსკში მიფრინავდა. შავი ზღვის თავზე ლაინერს საბჭოთა წარმოების რაკეტა 5B28 მოხვდა, რომელიც ყირიმის ნახევარკუნძულიდან უკრაინის სარაკეტო-საზენიტო ბრიგადამ წვრთნის დროს გაისროლა. ბორტზე მყოფი ყველა – 78 ადამიანი დაიღუპა. ტრაგედიის შემდეგ უკრაინის პრეზიდენტმა თავდაცვის მინისტრი, სამი გენერალი და რამდენიმე ოფიცერი თანამდებობებიდან დაითხოვა. უკრაინამ დაღუპულთა ოჯახებს 16 მილიონი დოლარი გადაუხადა.

2014 – რუსეთმა მალაიზიის BOEING 777 ჩამოაგდო

2014 წლის 17 ივლისს მალაიზიური ავიაკომპანიის Malaysia Airlines კუთვნილი Boeing 777, რომელიც ამსტერდამიდან კუალა ლუმპურისკენ მიფრინავდა აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე ჩამოვარდა. ბორტზე მყოფი ყველა 298 ადამიანი დაიღუპა, მათგან 192 ნიდერლანდელი.

საერთაშორისო გამოძიებით დადგინდა, რომ Boeing 777-ს რუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს Buk-დან გასროლილი რაკეტა მოხვდა. ეს Buk-ის სისტემა რუსეთის არმიის 53-ე სარაკეტო-საზენიტო ბრიგადას ეკუთვნის, რომელიც კურსკშია დისლოცირებული. მოსკოვმა Buk აღმოსავლეთ უკრაინაში მოქმედ პრორუსს სეპარატისტებს მცირე ხნით გადასცა და სამოქალაქო ლაინერის შეცდომით ჩამოგდების შემდეგ უკანვე დაიბრუნა. რუსეთი Boeing 777 კატასტროფასთან კავშირს ამ დრომდე უარყოფს.

2020 – ირანმა უკრაინის BOEING 737 ჩამოაგდო

2020 წლის 8 იანვარს, ირანის დედაქალაქ თეირანთან ახლოს უკრაინის ავიაკომპანია Ukraine 6nternational Airlines-ის კუთვნილი Boeing 737 ჩამოვარდა. ბორტი თეირანიდან კიევში მიფრინავდა, ყველა – 176 ადამიანი დაიღუპა. ირანმა მხოლოდ დღეს აღიარა და უკრაინული Boeing 737-ის ჩამოგდება სამხედრო-საჰაერო ძალების „ადამიანურ შეცდომას“ დააბრალა. სამი დღის მანძილზე, თეირანი მალავდა ინფორმაციას და აცხადებდა, რომ ბორტმა კატასტროფა „ტექნიკური გაუმართაობის“ გამო განიცადა. ახლა ირანი ირწმუნება, რომ თეირანის აეროპორტიდან აფრენილი ბორტი ამერიკულ სამხედრო-სადაზვერვო თვითმფრინავში აერიათ.

სულ დაღუპულია 1536 ადამიანი!

AMERIKISKHMA.COM

სენაკის სამხატვრო გალერეა 40 წლისაა

სენაკი დიდი ისტორიული და კულტურული ტრადიციების მქონე სულიერი ცენტრია საქართველოში, რომელიც მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში. იგი იშლება რიონისპირეთიდან და ისტორიული უნაგირას მთის ორივე კალთაზეა განფენილი.

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევში, მდინარე ტეხურის მარცხენა სანაპიროზე, შემონახულია ეგრისის სამეფოს დედაქალაქის მონუმენტური ნანგრევები.

ძვ.წ.აღ-ის III საუკუნეში ერისთავ ქუჯის აუგია სიმაგრე „ციხე-გოჯი“, რომელიც ახ.წ.აღ-ის III-IV საუკუნიდან ხდება ეგრისის სამეფოს დედაქალაქი. აქ ოდითგანვე თავს იყრიდა კოლხი ხალხისთვის დამახასიათებელი სტრატეგიული სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული ტრადიციების მნიშვნელოვანი კერები და შემდეგ ამ რეგიონიდან ვრცელდებოდა მათი გავლენაც და განვითარების მაგისტრალები.



სენაკში ყოველი ქვა და ბილიკი ისტორიული ქარტეხილების მომსწრეა.

სენაკის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახვითი ხელოვნების გალერეას, სამხატვრო სკოლას, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს. აქ აღიზარდნენ და მოღვაწეობდნენ ცნობილი ლოტბარები ნოკო ხურცია, რემა შელეგია და სხვები.

სენაკში ფუნქციონირებდა სამეგრელოში პირველი კლუბი და საჯარო წიგნთსაცავი ბიბლიოთეკა.

1978 წელს ერთი ჩვეულებრივი ნაგებობა, რომელსაც „ბავშვთა სამყარო“ ერქვა, დაანგრიეს და მის ადგილზე ახალი, უჩვეულო სტილის სახლი ააშენეს. მხოლოდ ორმა ადამიანმა იცოდა ამ სახლის „საიდუმლო“, მაშინდელი რაიკომის პირველმა მდივანმა, აწ გარდაცვლილმა ვახტანგ ესვანჯიამ და აკადემიკოსმა, არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარემ, სენაკელმა ვახტანგ დავითაიამ. მათ იცოდნენ, რა განთავსდებოდა ამ შენობაში. იმ დროს დაუჯერებელი იყო სენაკისთანა პატარა ქალაქისთვის სამხატვრო გალერეის გახსნა. მაშინ მხოლოდ თბილისსა და ქუთაისს გააჩნდა ამის შესაძლებლობა. გალერეა არ იყო ისეთ ქალაქში, როგორებიცაა: რუსთავი, ბათუმი, სოხუმი, ზუგდიდი, ფოთი, გორი, თელავი...

იბადება კითხვა, რამ გამოიწვია ამის აუცილებლობა სენაკში? მაშინ სენაკში ფუნქციონირებდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი უზარმაზარი საწარმო — ხალიჩების კომბინატი, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ გააჩნდა. აქ იქმნებოდა საუკეთესო ხარისხის და მაღალმხატვრული ღირებულების ქართული ხალიჩები.

1948 წელს სენაკში რამის (რამი ბოჭკოვანი მცენარეა) სადეგომაციო ქარხნის ბაზაზე ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის დაპროექტება და მშენებლობა დაიწყეს. სწორედ ხალიჩების კომბინატს უკავშირდება სენაკში საფეიქრო მრეწველობის ჩასახვისა და განვითარების ისტორია.

1950 წელს სენაკში ხალიჩების საქსოვი ფაბრიკა ამოქმედდა. ხალიჩების კომბინატი ერთ-ერთი მსხვილი წარმოება გახდა საქართველოს საფეიქრო მრეწველობისა, ის ერთადერთი იყო საქართველოში. აქ იქმნებოდა საუკეთესო ხარისხის ქართული ხალიჩა, რომელზეც ძალზე დიდი მოთხოვნილება იყო. ხალიჩებისთვის ესკიზებს ქმნიდნენ პროფესიონალი მხატვრები.

ხალიჩების კომბინატში სამუშაოდ მოიწვიეს ლვოვის დეკორატიულ-გამოყენებითი ინსტიტუტის სტუდენტი ნადეჟდა ერესენკოვა (წარმოშობით პოლონელი), რომელიც, როგორც ხალიჩების კომბინატის მთავარი მხატვარი, უსასრულოდ ეძიებდა მხატვრული გამოსახვის საშუალებებს, რაც მის ნამუშევრებს განუმეორებელ იერს აძლევდა.

ბატონი ვახტანგ ესვანჯია მხატვრობის დიდი მოყვარული და მეცენატი გახლდათ. მას დაებადა იდეა, რომ მხატვრებს ამ ქალაქში ჰქონოდათ საკუთარი შემოქმედებითი ნაწარმოებების გამოფენის საშუალება. ეს მოსაზრება მან მეგობარს, ბატონ ვახტანგ დავითაიას გაუზიარა. იდეა რეალურ საქმედ იქცა. 1979 წლის 29 სექტემბერს საქართველოს მასშტაბით რიგით მესამე გალერეა გაიხსნა. იმავდროულად გაიხსნა მოქანდაკე ვაჟა მელიქიშვილის „გახლეჩილი კუბი“, რომელიც სამამულო ომის თემას ეძღვნებოდა. თეატრალურ მოედანზე დაიდგა დიდი მსახიობის აკაკი ხორავას ძეგლი — მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკი. ძველ სენაკში აღიმართა მემორიალური სტელა — მიძღვნილი ძველი სენაკის სკოლის 100 წლისთავისადმი. სამივე ნამუშევრის ავტორია ცნობილი არქიტექტორი ვ. დავითაია.

ეს იყო ნამდვილი სახალხო ზეიმი. გალერეის დარბაზებში გამოიფინა თითქმის ყველა თაობის მხატვართა ნამუშევრები: ნიკო ფიროსმანაშვილის, მოსე თოიძის, გიგო გაბაშვილის, ლადო გუდიაშვილის, დიმიტრი შევარდნაძის, ფელიქს ვარლამიშვილის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის, ელგუჯა ამაშუკელის, რეზო ადამიას, გოგი ალექსი-მესხიშვილის, ნიკოლოზ იგნატოვის, ადგილობრივი მხატვრების: დიმიტრი ბარქაიას, ოთარ პარკაიას, ძმების ანრი და ჰაიკო გახარიების, ლერი ელიაშვილის, ზაურ გაბესკირიას, ნადეჟდა გვაძაბია-ერისენკოვას, ზეინაბ ყურაშვილის და სხვების...

გამოფენის გახსნაზე მოწვეული იყვნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მწერლები, პოეტები, მეცნიერები, მსახიობები, მუსიკოსები. შთაბეჭდილების წიგნში აღფრთოვანება ვერ დამალეს მწერალმა ოტია იოსელიანმა, ჟურნალისტმა აგული დადიანმა, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელმა, კინორეჟისორმა ნანა მჭედლიძემ, მსახიობებმა: ირაკლი უჩანეიშვილმა, ოთარ მეღვინეთუხუცესმა, სალომე ყანჩელმა, მედეა ჩახავამ, მარინე თბილელმა, მურმან ჯინორიამ, ოთარ კობერიძემ, ლია ელიავამ, რამაზ ჩხიკვაძემ, გურამ ფირცხალავამ, მწერალმა რევაზ ჯაფარიძემ.

გალერეის პირველ დირექტორად დაინიშნა სენაკის მკვიდრი ველმირ ჩემია, ხოლო ფონდების მთავარ მცველად — მხატვარი ლერი კართხია.

1983 წელს მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეამ სენაკის გალერეას გადასცა 21 ფერწერული ნამუშევარი საერთო ღირებულებით 27 ათასი მანეთი.

გალერეის ხელმძღვანელობამ ფართო კავშირები დაამყარა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მხატვართა კავშირის გამგეობასთან.

1989 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა გალერეის დირექტორი ველმირ ჩემია, დირექტორად დაინიშნა პროფესიით მხატვარი ლერი კართხია.

1991-92 წლებში დაპირისპირებამ და ძმათამკვლელმა ომმა მძიმე განსაცდელის წინაშე დააყენა ქვეყანა. სენაკის ქუჩებში ტანკები და ბეტეერები დაგრიალებდნენ. ბანდიტურმა დაჯგუფებებმა, კერძოდ, „მხედრიონმა“ ტყვიების ჯერით დაცხრილეს სამხატვრო გალერეის ვიტრინები, გაიტაცეს რამდენიმე ძვირადღირებული ექსპონატები. დადგა საშიშროება იმისა, რომ ისინი ფერწერულ ტილოებსაც გაიტაცებდნენ, მაგრამ პატრიოტ ადამიანებს რა გამოლევს. გადწყდა ექსპონატები ოჯახებში გადაემალათ. ამ კეთილ საქმეში გალერეას გვერდში დაუდგა მხატვარი რეზო ადამია, ჩაის ფაბრიკის დირექტორი გურამ მისაბიშვილი და სენაკის საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ რუსია. სწორედ მათი ძალისხმევით გადარჩა ექსპონატები და გალერეა.

2007 წლის დასაწყისში შეიქმნა სენაკის ა(ა)იპ კულტურის ცენტრი, გალერეა კულტურის ცენტრის შემადგენლობაში შევიდა.

2018 წელს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გალერეას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. პირველ სართულზე განთავსდა საბავშვო ბიბლიოთეკა, შეიქმნა საკონფერენციო დარბაზი, კეთილმოწყობილ იქნა ყველა დამხმარე სათავსო, მეორე სართული დაეთმო საგამოფენო დარბაზებს. მადლობის ღირსნი არიან სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ რუსია, მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ლევან უჩანეიშვილი.

ახლახან სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეას დაარსებიდან 40 წელი შეუსრულდა. ხელოვნების ეს ფლაგმანი კვლავ მწყობრშია.

ბიჭიკო თუნთია,
კულტურის დამსახურებული მუშაკი

თბილისის ისტორიები საკრებულოდან

დედაქალაქის საკრებულოში შემეცნებითი-კულტურული ხასიათის პროექტი, სახელწოდებით — „თბილისის ისტორიები საკრებულოდან“, 2020 წლის პირველი ღონისძიებით გაგრძელდა. წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის მოადგილის მარიკა დარჩიას ინიციატივით დაწყებული პროექტი იანვრის თვეში თბილისის ისტორიის შესახებ შედგენილი წიგნის წარდგენას დაეთმო.

მარიკა დარჩიას თქმით, წიგნი **„თავისუფალი საქართველოს დედაქალაქი. თბილისი 1918-1921 წლებში“** თბილისის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ვითარების შესახებ საინტერესო ისტორიებს აერთიანებს.

ღონისძიებას მარიკა დარჩია უძღვებოდა, მომხსენებლები კი თავად წიგნის ავტორები ოთარ ჯანელიძე, ალექსანდრე დაუშვილი და მირიან ხოსიტაშვილი იყვნენ.

წიგნი ორენოვანია (ქართული და ინგლისური) და შეიცავს 228 გვერდს, ის უხვად არის ილუსტრირებული... წიგნის რედაქტორია ზაზა აბაშაძე, დიზაინერი — გიგი გელაშვილი, მთარგმნელი — ელენე დოლაქიძე.

ღონისძიების ფარგლებში საკრებულოს თამარ მეფის დარბაზში უნიკალური ფოტომასალაც გამოიფინა.



ელიზაბეთ რუდმა „სულიკო“ იმღერა

საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ელიზაბეთ რუდმა კალანდობა გურიაში აღნიშნა და ადგილობრივებთან ერთად ქართული სიმღერებიც იმღერა.

სოციალურ ქსელში ელიზაბეთ რუდის მიერ შესრულებული „სულიკოს“ ვიდეო გავრცელდა.

◎ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲜᲐᲢᲣᲠᲘᲓᲐᲜ

ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲝᲕᲚᲘ

ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲓ ᲒᲐᲑᲠᲓᲦᲕᲘᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲖᲔ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲫᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ — ᲐᲩᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲜᲝᲓᲘᲙᲝ ᲚᲐᲦᲐᲓ ᲛᲘᲡᲘᲔᲘᲠᲜᲝᲑᲔᲜ.

— რაც მართალია, მართალია, — ამბობს აჩიკო, — ეს ჩვენი ქალაქის მერი მაგარი ვინმე გამოდგა.

— საიდან ასკვნი? — ინტერესდება ნოდიკო.

— საკუთარი თვალით ნანახიდან, ძმაო. ნახე, დედაქალაქი საახალწლოდ როგორ ევროპულად მოგვირთო. ამასთან, კონცერტები არ გვაკლია და ცეკვა-თამაში, არც შუა ქალაქში ზურმუხტივით ჩამჯდარი იმპროვიზებული ქართული სოფლები.

— კარგი ერთი, ნუ გიყვარს გაზვიადება. ეგ შენი მერი თუ მართლა მასეთი მაგარია, საახალწლოდ თოვლი რატომ ვერ მოიყვანა?

— იმიტომ, რომ მერია, ზევსი ხომ არა, რომ ბრძანოს და თოვლმა არე-მარე თეთრად გადაბარდნოს?

— ნუ ამართლებ, მაგის ადგილზე რომ ვიყო, დედაქალაქისთვის საკმარის თოვლს სულაც ახლომახლო მთებიდან შემოვზიდავდი.

— კი აპირებდა თურმე რუსეთიდან იმპორტირებული თოვლის თვითმფრინავით შემოტანას, მაგრამ მოსკოვიდან ფრენები არ არის და პროგრამა ჩაუვარდა.

— თოვლის თვითმფრინავით შემოტანას? — გაიკვირვა ნოდიკომ.

— ჰო, რა გიკვირს, საბჭოთა პერიოდში თოვლი სულ თვითმფრინავით არ შემოგვქონდა? — შეფუთული, არომატიზებული და შეფერადებულიც კი.

— შეფერადებული? მერედა, რისთვის იყენებდნენ მაგ შენ ჭრელა-ჭრელა თოვლს?

— რა საკითხავია. ახალი წლის დღეებში რა სჯობს ოფისების, ნაძვის ხეების, ავტომანქანების ნაირფერი ფიფქებით მორთვას.

— ავტომანქანების?

— კი, ბევრი შინიდან გასვლის წინ მანქანას იმპორტულ თოვლს აყრიდა.

— რატომ?

— ეგზოტიკისთვის — თოვლი არსად ჭაჭანებს, შენი მანქანა კი დათოვლილია!

— კარგი ერთი, — განერვიულდა ნოდიკო, — თოვლიც კიტრის მწნილი ან ტომატი ხომ არ არის, რომ უცხოეთიდან შემოვიტანოთ?

— ასეა და რა ვქნა, საქართველოში ყველაფერი იმპორტულია, მათ შორის, თოვლიც.

— რატომ, ძმაო, იმპორტული? თოვლი ვითომ ჩვენთან არ იშოვება?

— იჰ, აბა სად ხედავ, ზოგჯერ მთელი წელი ისე ჩაივლის, რომ ფიფქიც არ ჩამოვარდება.

— თბილისიდან რას დაინახავ, ჩემო ძმაო, ადი სვანეთში, იქაურობა ზვავებისგან იქცევა.

— ჰო, მაგრამ, ეგ თოვლი სარეალიზაციოდ გამოუსადეგარია.

— რატომ?

— ადვილად დნება და იმიტომ, სვანეთიდან ჯერ ქუთაისშიც არა ხარ ჩამოსული და უკვე გამდნარია.

— რუსული არა დნება?

— არა, რუსეთში ხომ ხარ ნამყოფი, თოვლი თვეობით დევს და არა დნება.

— მაგას რით ახსნი?

— თოვლის ხარისხით, იქაური თოვლი ხრაშუნა და გამძლეა.

— გავიგე, თოვლის იმპორტირება მართლაც სარფიანი საქმე ჩანს, მაგრამ იმ ბიზნესმენს თუ საქონელი გაუყიდავი დარჩა, ხომ გაუფუჭდება?

— არაფერიც, იქიდან მერე არაყს გამოხდის.

— თოვლისგან, კაცო?

— ჰო, თოვლისგან თურმე უმაღლესი ხარისხის არაყი გამოდის.

— მაშ, რუსები რატომ არ ხდიან?

— ჩამორჩენილები არიან და იმიტომ, ჩვენ რისგან აღარ ვხდით არაყს (ჭაჭა, ჭანჭური, კარალიოკი, ანწლი), ისინი კი დღემდე „ხლებნაია ვოდკაზე“ სხედან.

შენ ჩამორჩენილი ეძახე, ამას წინათ, „ბიბისიმ“ ელვა-ინფორმაცია გაავრცელა, რუსებმა თოვლისგან თერმული ქობინი შექმნესო! ეს თუ მართალია, რუსებს თოვლის მარაგი არ გამოელევათ და ვაი, ჩვენს მოკეთე ამერიკას.

ᲝᲗᲘᲐ ᲩᲐᲠᲗᲝᲚᲐᲜᲘ

75-Ე ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲭᲠᲔᲑᲐᲚᲝᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ რიგით 75-Ე ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲭᲠᲔᲑᲐᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ.

ჭრებალოს საზოგადოებრივი ცენტრის გახსნას ესწრებოდნენ: რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთისა და მესტიის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ენუქიძე, სახელმწიფო რწმუნებული არჩილ ჯაფარიძე, ამბროლაურის მერი დავით მხეიძე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე ზურაბ სანიკიძე, შვეიცარიის განვითარების სააგენტოს რეგიონული დირექტორის მოადგილე ვერნერ ტუტი, გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP) „ადგილობრივი და რეგიონული განვითარების ხელშეწყობის პროექტის“ ხელმძღვანელი თინათინ ტყეშელაშვილი და ადგილობრივი მოსახლეობა.

თეა წულუკიანმა მკვიდრ მოსახლეობას სიტყვით მიმართა და ცენტრის გახსნასთან ერთად ახალ წელი მიულოცა. ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვეს შვეიცარიის განვითარების სააგენტოს რეგიონული დირექტორის მოადგილე ვერნერ ტუტმა „UNDP“-ის „ადგილობრივი და რეგიონული განვითარების ხელშეწყობის პროექტის“ ხელმძღვანელმა თინათინ ტყეშელაშვილმა.

საზოგადოებრივი ცენტრი ჭრებალოსა და მიმდებარე სოფლების — ხვანჭკარას, ქვიშარის, ჭყვიშის, ჟოშხას, გენდუშის, პირველი და მეორე ტოლას 3000-მდე მცხოვრებს მოემსახურება.

ᲡᲡᲘᲞ - ᲤᲔᲠᲓᲘᲜᲐᲜᲓ ᲗᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ:

1. ტექნიკოსი - 1 საშტატო ერთეული (თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორია)

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ

თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის კომპაქტირება.

ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ:

ა.) **განათლება** (საშუალო-ტექნიკური განათლება);
ბ.) **სამუშაო გამოცდილება:**
ბ.ა) შესაბამის სფეროში არანაკლებ 1 წლამდე გამოცდილება;
გ.) **სპეციფიკური ცოდნა და გამოცდილება:**
გ.ა) უნდა გააჩნდეს ტექნიკური სამუშაოების ჩატარების უნარი;
დ.) **კომპეტენციები:**
დ.ა) გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა;
დ.ბ) კომუნიკაბელურობა;
დ.გ) ცვლილებებისადმი ადაპტირება;
დ.დ) სტრესულ გარემოში მუშაობა.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:

1. განცხადება (განცხდების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია /CV
4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე - ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №10, ოთახი №315 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2020 წლის 24 იანვრიდან 27 იანვრის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის (სამუშაოს აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები) ეწვიეთ www.mmi.ge ან დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776.

ᲙᲘᲚᲘᲛᲐᲜᲯᲐᲠᲝᲡ ᲗᲝᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲗᲘᲡ „ᲧᲘᲜᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲡᲔᲚᲘᲡ“ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲑᲔᲕᲠ ᲛᲮᲐᲠᲔᲨᲘ ᲓᲐᲗᲑᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲧᲘᲜᲕᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲥᲠᲝᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲐ.

მკვლევართა პროგნოზით, ათი წლის შემდეგ, ანდებისა და ჰიმალაიების მთათა სისტემათა შორის განედებზე აღარც ერთი მყინვარი აღარ დარჩება. ამ გეოგრაფიულ ზონაში ეგრეთ წოდებული „ტროპიკული მყინვარები“ იმყოფება, მათ შორის აფრიკის უმაღლესი მწვერვალი — კილიმანჯაროს მთა, რომელიც თოვლითა და ყინულითაა დაფარული. მაგრამ, მეცნიერთა პროგნოზით, 2030 წლისთვის კილიმანჯაროს ეს „ყინულის სამოსელი“ ერთიანად დადნება.

ეს დასკვნა გლაციოლოგებმა კილიმანჯაროს მყინვარულ საფარზე თითქმის საუკუნოვანი (1912-2000 წ.წ.) აეროფოტოგადაღებების შედარების შემდეგ გამოიტანეს. ირკვევა, რომ განვლილი 88 წლის განმავლობაში, კილიმანჯაროს მყინვართა საფარი 12-დან 6 კვადრატულ კილომეტრამდე შემცირდა, თანაც ვითარება წლიდან წლამდე უარესდება.

2010 წელს ჩატარდა ახალი გვინეისა და პერუს მყინვართა გამოკვლევები. მათი კვების არეალში თოვლის დაგროვება შეწყდა, რასაც კლიმატოლოგები საყოველთაო დათბობის პროცესს უკავშირებენ. კერძოდ, დაკვირვებათა თითქმის ათი წლის მანძილზე დადგინდა, რომ ახალ გვინეაში პუნჩაკ-ჯაის მთაზე მყინვართა ტერიტორია 75 პროცენტით შემცირდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში მყინვართა თანდათანობით უკან დახევა მათი ფართობების კატასტროფული შემცირებით შეიცვალა. განსაკუთრებულად მკვეთრად ეს პროცესი ბოლივიის, ეკვადორის, კოლუმბიის, ვენესუელისა და ახალი გვინეის პატარ-პატარა მყინვარებზე წარიმართა. ამდენად, მსოფლიოს ბევრ რაიონში მთის მყინვართა საბოლოოდ გაქრობა მხოლოდ დროის საკითხია.

საქმე უკეთესად არც გრენლანდიაშია. ამ კუნძულის ყინულოვანი ფარი, ანტარქტიკულის შემდეგ, დედამიწაზე სიდიდით მეორეა. კლიმატის ცვლილებათა ექსპერტთა სამთავრობათაშორისო ჯგუფმა გამოიტანა დასკვნა, რომ გრენლანდიის მყინვართა დნობა ამჟამად შვიდჯერ უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე 1990-იან წლებში.

მაინც, რა საფრთხის შემცველია ეს პროცესი? მაგალითად, თუკი ავიღებთ დედამიწაზე არსებულ მთელ ყინულს და მის ზედაპირზე თანაბრად გავანაწილებთ, ის მას 53 მეტრის სიმაღლის ფენით დაფარავს(!). შესაბამისად, გაქრება ათობით დიდი ქალაქი, მათ შორის, ნიუ-იორკი, ლონდონი, სანკტ-პეტერბურგი, ბუენოს-აირესი, წყლით ერთიანად დაიფარება ნიდერლანდი, დანია, საერთოდ — დასავლეთი ევროპის დიდი ნაწილი. ჩრდილოეთ ამერიკაში დაიტბორება ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტიკის მთელი სანაპირო — ფლორიდისა და მექსიკის უბის სანაპიროს ჩათვლით, კალიფორნია კი კუნძულებად გადაიქცევა. ოკეანე შთანთქავს კოლის ნახევარკუნძულისა და დასავლეთ ციმბირის დაბლობის უდიდეს ნაწილს.

რა ეშველება ამ ჭეშმარიტად აპოკალიფსურ პროცესს, ჯერჯერობით ძნელი წარმოსადგენია.

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

ლოზანა 2020

„ხუთოსანი“ ურუშაძე



შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში მიმდინარე ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ერთეულ გოგონათა კატეგორიაში ორივე პროგრამაში დამაჯერებლად იასპარეზა ალინა ურუშაძემ.

ქართველმა ფიგურისტმა პრაქტიკულად უშეცდომოდ შეასრულა ყველა აუცილებელი ტექნიკური ელემენტი.

16 წლის მოციგურავემ თავისუფალ პროგრამაში 116.40 ქულა მოაგროვა და მე-6 პოზიციას იკავებდა, მოკლე პროგრამაში კი 63.10 ქულა დაიმსახურა და მე-5 ადგილზე გავიდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ჯვაროსანმა“ ჯამში მისთვის სარეკორდო 179.50 ქულას მოუყარა თავი და მაღალი კონკურენციის პირობებში 14 ქვეყნის 16 მონაწილეს შორის საპატიო მე-5 ადგილი ხვდა.

ბეჟან დოლიძე

ლეგიონერი

2 ქულით დაბრუნდა

ნაციონალურ **საკალათბურთო ასოციაციაში მორიგი შეხვედრა გამართა ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებული გოგა ბითაძის „ინდიანა პეისერზმა“. ქართველი კალათბურთელის**

გუნდი შინ „ფილადელფიას“ დაუპირისპირდა და 6-ქულიანი სხვაობით 101:95 დაამარცხა.

„ჯვაროსანმა“ ამჯერად პარკეტზე 4 წუთი გაატარა, რა დროშიც 2 ქულა, 1 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა. ქართველი ცენტრის მარგი ქმედების კოეფიციენტი 5-ს გაუტოლდა.

ნეით მაკმილანის შეგირდთაგან საუკეთესო დომანტას საბონისი იყო, რომელმაც 10 ქულა, 16 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა მიითვალა, რითაც ორმაგი დუბლი შეასრულა.

„ინდიანას“ 40 ტურში 25 მოგების საპირისპიროდ 15 მარცხი აქვს და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-5 პოზიციაზეა, მომდევნო შეხვედრას კი ხვალ „მინესოტას“ წინააღმდეგ ჩაატარებს.

ვიტალი ჯაფარიძე

ხელბურთი

ბენწვის ხიდზე

ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონმა დანიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ფრედ — 24:24 ითამაშა უნგრეთთან და მეორე ეტაპზე გასვლის შანსი შეინარჩუნა. უკვე ცნობილია 7 გუნდი, ვინც ბრძოლას გააგრძელებს, ხოლო პირველი ეტაპის დარჩენილ 2 დღეში კიდევ 5 რჩეული გამოვლინდება.

დანია თითქმის მთელი თამაში აგებდა და გავარდნის პირას იყო. დასრულებამდე 8 წუთით ადრე უნგრეთი 23:21-ს იგებდა, შემდეგ ზედიზედ სამი გოლი გაუშვა, გაათანაბრა (24:24) და ბოლო შეტევაც დარჩა, მაგრამ დარტყმა ვეღარ მოასწრო. E ჯგუფში ისლანდიამ 34:23 დაამარცხა რუსეთი და მეორე რაუნდში გასვლა გაინაღდა, მეორე საგზური კი ღიად დარჩა დანიასა და უნგრეთს შორის — ბოლო ტურში დანიამ უნდა მოუგოს რუსეთს და თუ უნგრეთი ისლანდიასთან წააგებს, მაშინ ამ ორ გუნდს შორის ბურთების სხვაობა დაითვლება. ასე რომ, უნგრეთს ისლანდიასთან ფრეც ჰყოფნის.

A ჯგუფში ბელარუსმა 36:27 სძლია მონტენეგროს და მეორე ეტაპზე გავიდა, ხორვატეთმა კი 24:21 დაამარცხა სერბეთი. B ჯგუფში მეორე საგზური გერმანიამ მოიპოვა, ვინც ლატვიას 28:27 მოუგო, ხოლო ესპანეთმა 36:25 აჯობა ჰოლანდიას.

როსტომ რაჭველიშვილი

ფორუმის წინ

ექვსეულის რჩეული

კლუბებმა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატად მისი მოქმედი თავკაცი გოჩა სვანიძე წარადგინეს, — ამის შესახებ სრკ თავისი ვებ-გვერდით იტყობინება:

„13 იანვარს საქართველოს რაგბის კავშირის ნამდვილ წევრთა (დიდი 10-ის კლუბები) მიერ გამგეობის სახელზე შემოვიდა განცხადება 30 იანვარს სრკ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში გოჩა სვანიძის კანდიდატურის წარდგინების შესახებ.

განცხადებას ხელს აწერენ დიდი 10-ის შემდეგი კლუბები: „ლელო“, „ჯიქი“, „აია“, „ყოჩები“, „აკადემია“ და „იუნკერები“.

შეგახსენებთ, რომ 10 იანვარს გამართულ საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის კრებაზე დადგინდა სრკ-ის საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი: 30 იანვარი და პროცედურები“.

არჩევნებში მონაწილეობას აგრეთვე ყოფილი „ბორჯღალოსანი“ ირაკლი აბუსერიძე და რაგბის კავშირის მაღალი სპორტული მიღწევების ყოფილი დირექტორი ბაჩო ხურციძე მიიღებენ.

კოგა კოგახიძე

ოლიმპიზმი

ბოიკოტის უაზრობა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტ **თომას ბახის** მოსაზრებით, ოლიმპიური თამაშების პოლიტიკური მიზეზით ბოიკოტირების ისტორია მის უსარგებლობაზე მიუთითებს.

„პოლიტიკოსებისადმი ჩემი გზავნილი ყოველთვის ის არის, რომ ოლიმპიური თამაშების მისია გაერთიანებაა და არა განხეთქილება. ამ ფორუმს მოაქვს მშვიდობა, ამიტომაც ბოიკოტის ნებისმიერი სახე, მიუხედავად მისი მიზეზისა, ეწინააღმდეგება ოლიმპიური თამაშების მისიას. ასე რომ, პოლიტიკოსებს ვთხოვ, პატივი სცენ ამ მისიას. ჩვენ ჩვენის მხრივ უნდა დავიცვათ პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, სხვაგვარად დაშორიშორების პროცესის თანამონაწილენი ვიქნებით.

ბოიკოტებს, რომლებსაც კი შევჯახებივართ, მაგალითად — მოსკოვისა და ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე, არანაირი ეფექტი არ მოუცია. 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტს ავღანეთში მდგომარეობა არ შეუცვლია ისევე, როგორც 1984 წლის ლოს ანჯელესის თამაშების ბოიკოტს პოლიტიკური თვალსაზრისით არაფერი არ შეუცვლია აშშ-ს და მსოფლიოში“ — განაცხადა IOC-ის პრეზიდენტმა.

მანუჩარ გიორგაძე

იგი წავა და...

მწვრთნელის ხვედრი

„ბარსელონას“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - კიკე სეტიენი. „ბლაუგრანას“ ვებ-გვერდმა მისი დანიშვნა და ერნესტო ვალვერდეს დათხოვნა ერთდროულად დაადასტურა.

„ბარსა“ მადლობას უხდის აწ უკვე ყოფილ თავკაცს გაწეული სამსახურისთვის და სამომავლოდ წარმატებებს უსურვებს. ბასკი კატალონიურ გრანდს 2017 წლის ზაფხულიდან ავარჯიშებდა და ორჯერ ესპანეთის ჩემპიონი გახადა, თითოჯერ კი „სამეფო თასი“ და სუპერთასი მოაგებინა. მიუხედავად ამისა, ჩემპიონთა ლიგაში „რომასთან“ და „ლივერპულთან“ საოცრად წარუმატებელმა თამაშმა მისი მუშაობის უარყოფითად შეფასებაზე დიდი გავლენა იქონია.

ვალვერდეს მემკვიდრე არც ჩავი იქნება, არც რონალდ კუმანი, არც მასიმილიანო ალეგრი ან მაურისიო პოჩეტინო. გუნდს ამიერიდან კიკე სეტიენი დამოძღვრავს. გამოცდილ სპეციალისტსა და კლუბს შორის კონტრაქტი 2022 წლის 30 ივნისამდე გაფორმდა.

61 წლის „ჭაღარას“ აქამდე „რასინგში“, „ლოგრონიესში“, „ლუგოში“, „ლას პალმასსა“ და „ბეტისში“ უმუშავია.

გიორგი ზოთაძე

რა იცით საქართველოში არსებული მეტეორიტების შესახებ?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 7 მეტეორიტი ინახება, ერთ-ერთი მათგანი მზის სისტემაზე ძველია, ყველაზე დიდი კი, თავის დროზე, უნივერსიტეტის პირველი რექტორისთვის პეტრე მელიქიშვილისთვის უჩუქებიათ.

„ვინ აჩუქა, არ ვიცით, მაგრამ მეტეორიტს ლაბორატორიული კვლევა ჩატარებული აქვს და, რამდენადაც ვიცი, ძალიან დიდი რაოდენობით რკინას შეიცავს“, — ამბობს სანდრო მარუაშვილი, უნივერსიტეტის მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

ექსპონატი მსოფლიოში ცნობილი ტუნგუსკის მეტეორიტის ნამსხვრევია, რომელიც 1908 წელს კრასნოიარსკის მხარეში ჩამოვარდა. ამ გიგანტური კოსმოსური სხეულის დედამიწასთან შეჯახება იმდენად მძლავრი აღმოჩნდა, რომ ჩამოვარდნის ადგილიდან 2000 კვადრატული მეტრის რადიუსში ხეები ერთიანად წაიქცა.

ყველაზე დიდი მეტეორიტი, რომელიც უნივერსიტეტში ინახება, რამდენიმე კილოგრამს იწონის. მისი სიმაღლე — 14, სიგანე — 20, სიგრძე კი 24 სანტიმეტრია.

თსუ-ის ბირთვული ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი ნუგზარ გუბაძე ამბობს, რომ საქართველოშიც იმდენივე მეტეორიტი ცვივა, რამდენიც სხვაგან, მაგრამ მთაგორიანი რელიეფის გამო მათი პოვნა ჭირს.

ლაბორატორიული ანალიზის გარეშე შეუძლებელია გაარკვიო, ხელში კოსმოსური სხეული გიჭირავს თუ უბრალოდ რომელიმე მინარევი. მეტეორიტებს სახელებს იმ ადგილების მიხედვით არქმევენ, სადაც იპოვეს.



როგორც ნუგზარ გუბაძე ამბობს, ოციოდე წლის წინათ ერთი „ქართული“ მეტეორიტიც გამოჩნდა. ის მპოვნელმა სამეგრელოდან ჩამოიტანა, თუმცა ექსპერტებმა „თბილისი“ შეარქვეს. ნუგზარ გუბაძის თქმით, ექსპონატის ქიმიური შემადგენლობა იმდენად უჩვეულო იყო, რომ უცნობი წარმოშობის სხეული გამოკვლევისთვის გერმანიასა და ამერიკაში გაგზავნეს.

„მოვლენა, რაც აქ დავინახეთ, აბსოლუტურად ცვლიდა ელემენტების წარმოქმნის თეორიას. არეული იყო იზოტოპური ფარდობები ელემენტებში: ტიტანი, ჟანგბადი, კალციუმი. გერმანელებმა, ძალიან საინტერესო ნიმუშია, მაგრამ კომპეტენცია არ გვყოფნის, შევაფასოთ და ამერიკაში გაგზავნეთო.

ამერიკიდან თავდაპირველად გვითხრეს, ეს მეტეორიტი არ არისო. ჩვენ ვუპასუხეთ, კი, ბატონო, არ იყოს მეტეორიტი, დედამიწის ნიმუში იყოს, გვითხარით, რატომ არის იზოტოპობი ასე არეული. კიდევ გავზომავთო, მოგვწერეს და მას შემდეგ არ შეგვხმიანებიან. ორივე ქვეყანას ვთხოვეთ, უკან დაებრუნებინა ნიმუშები, მაგრამ არ დაგვიბრუნეს“, — ამბობს ნუგზარ გუბაძე.

შემადგენლობისა და იშვიათობის მიხედვით მეტეორიტის ერთი გრამის ფასი შესაძლოა, 40 000-150 000 დოლარიც კი იყოს. არის მეტეორიტების, როგორც ქონების, ბანკში „ჩადების“ პრაქტიკაც.

ბირთვული ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია ერთადერთია საქართველოში, სადაც მეტეორიტებზე მუშაობენ. აქ ერთი ისეთი მეტეორიტიც ინახება, რომელიც არა მხოლოდ დედამიწაზე, საერთოდ მზის სისტემაზე უფრო ძველია.

„ჩემთვის, როგორც მეცნიერისთვის, ამ მეტეორიტებიდან ძალიან მნიშვნელოვანია კუნაშაკის მეტეორიტი. მასში ძალიან საინტერესო რაღაცები ვნახეთ. ლითიუმის იზოტოპური ფარდობები დედამიწაზე არსებულთან შედარებით ნაკლებია, რაც ჩვეულებრივი ამბავი არ არის“, — ამბობს ნუგზარ გუბაძე.

საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოში იყო მეტეორიტიკის კომისია, რომელსაც მეტეორიტის პოვნაზე დაწესებული ჰქონდა ფულადი ანაზღაურება — 100 მანეთი. კომისიას წელიწადში 15 ადამიანი მაინც აკითხავდა. თუმცა, როგორც ნუგზარ გუბაძე ამბობს, მათი მოტანილი ქვებიდან მეტეორიტი არცერთი არ აღმოჩნდა.

თეა თოფურია

„ბასიანთან“ 3 პირის დაჭრის საქმეზე დაკავებულს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

კლუბ „ბასიანთან“ 3 პირის დაჭრის საქმეზე დაკავებულ ბიძინა ჩაჩხიანს აღმკვეთი ღონისძიების სახით 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. დაცვის მხარის შუამდგომლობა 5000-ლარიანი გირაოს სახით მოსამართლე გიორგი კერატიშვილმა არ დააკმაყოფილა.

ჩაჩხიანის განცხადებით, ის არსად მიმალვას არ აპირებდა. ჩაჩხიანი ამბობს, რომ ის სანადიროდ წასვლას აპირებდა და სწორედ ამ მიზნით ჰქონდა თან იარაღი და ვაზნები. წინასასამართლო სხდომა საქალაქო სასამართლოში 5 მარტს გაიმართება.

კლუბ „ბასიანთან“ სროლა 12 იანვარს, გვიან ღამით მოხდა. სროლის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1980 წელს დაბადებული ბიძინა ჩაჩხიანი დააკავა, რომელსაც ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარება ედება ბრალად და 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრება.

◎ რა არის GHB?..

ახალი „მკვლელი“ ნარკოტიკი

ექიმი-ნარკოლოგი საზოგადოებას აფრთხილებს

ექიმი-ნარკოლოგი ზურაბ სიხარულიძე სოციალურ ქსელში ახალი ნარკოტიკული საშუალების გამოჩენა-მოხმარებაზე წერს.

გთავაზობთ პოსტს უცვლელად:

„არ ვაპირებდი კიდევ ამეფორიაქებინა საზოგადოება, მაგრამ ვთვლი, რომ აუცილებელია ამ ინფორმაციის გაზიარება. ახალი წლის დღეებში და მანამდეც რამდენიმე ადამიანი მოხვდა კვლავ „ემერჯენსში“ კომატოზურ მდგომარეობაში, რაც განვითარდა არა ალფაპვთ მოხმარებით, არამეთ სავარუდოდ GHB- თი, რაც არის ამ საუკუნის ერთ-ერთი საშიში ნარკოტიკი !!!

GHB, GHB, იგივე გამა-ჰიდროქსიბიტურატი ბოლო პერიოდში ცნობილი გახდა, როგორც ნარკოტიკი სახელად „date rape.“ თავად ტერმინი „date rape“ ამერიკულ სლენგში გამოიყენება როგორც შესატყვისი იმ გარემოებისა, როდესაც პიროვნებას, რომელიც პაემანზე წავიდა, აუპატიურებს მისივე პოტენციური პარტნიორი, ანუ „date.“

GHB-ს მსგავსი სახელით იმიტომ მოიხსენიებენ, რომ მიუხედავად აღნიშნული წამლის უარყოფითი ეფექტების შესახებ ცნობიერების მაღალი დონისა, ადამიანები მაინც იღებენ მას საკუთარი ნებით.

რა არის GHB?

ჯიეიჩბი პირველად ლაბორატორიებში მე-19 საუკუნეში გაჩნდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისი წარმოება ორგანიზმშიც ხდება ბუნებრივად მცირე დოზებით მაშინ, როდესაც საკვები ნივთიერებები იშლება ორგანიზმში. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ის ანესთეტიკად გამოიყენებოდა, გასული საუკუნის 80-იან წლებში მან, ისევე როგორც ბენზოდიაზეპინებმა, დიდი პოპულარობა პოვა სპორტდარბაზისა და კლუბების მოყვარულთა შორის. აღნიშნული წამლის ქუჩური დასახელებებია:

- Easy Lay
- G
- Georgia Home Boy
- Goop
- Grievous Bodily Harm
- Liquid Ecstasy
- Liquid X
- Scoop

GHB, როგორც Party drug-ი

აღნიშნული წამლის მომხმარებლები ამბობენ, რომ ჯიეიჩბის მცირე რაოდენობით მიღება სტიმულანტის როლს თამაშობს, თუმცაღა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეალურად აღნიშნული წამალი ცენტრალური ნერვული სისტემის დეპრესანტია.

მომხმარებლების გადმოცემით, ჯიეიჩბი მათ აძლევს რელაქსაციის ეფექტს, ისევე როგორც ალკოჰოლი, თუმცაღა, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით არ იწვევს კოორდინაციის დაკარგვას, ენის ბორძიკს ან ნაბახუსევს, მაგრამ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მისი დიდი დოზით მოხმარება იწვევს გონის კარგვას. ჯიეიჩბის მოქმედების ეფექტი ერთიორად იზრდება ალკოჰოლთან ერთად მიღების დროს და, შესაძლოა, მომხმარებელმა სულ რამდენიმე წუთში დაკარგოს გონება.

GHB-ს ეფექტები:

ბოლოდროინდელი კვლევები, რომელთა თანახმადაც აღნიშული წამალი არა მხოლოდ ადიქციურია და აქვს მისთვის დამახასიათებელი სიმპტომატიკა აღკვეთის სინდრომის დროს, არამედ წამალში არსებული დეპრესანტების ზედოზირებით ადამიანები სიცოცხლესაც კი ემშვიდობებიან.

GHB-ის გვერდითი ეფექტები აგრეთვე მოიცავს:

- **მეხსიერების ჩავარდნები**
- **ძილიანობა**
- **თავბრუსხვევა**
- **დაბალი ტემპერატურა**
- **ღებინება**
- **ოფლიანობა**
- **სუნთქვის გაძნელება**
- **დაბნეულობა**
- **აჟიტაცია**
- **ჰალუცინაციები**
- **გულყრა**
- **გონების დაკარგვა**

1990 წლიდან მოყოლებული ამერიკაში დაახლოებით 16 000 ადამიანი დაიღუპა GHB-ის მოხმარების ფონზე.

GHB-ით გარდაცვალების შემთხვევებიდან მომხმარებელთა 64%-ს აღნიშნული წამლის პარალელურად გამოყენებული ჰქონდა სხვა მავნე ნივთიერებაც.

GHB და ადიქცია

მიუხედავად მომხმარებელთა მხრიდან უარყოფისა, GHB იწვევს მასზე დამოკიდებულებას. როდესაც ხდება აღნიშნული წამლის გამოყენება დასვენების მიზნებით, ხდება რწმენის შემწყნარებლობის განვითარება, შესაბამისად მომხმარებლებს უჩნდებათ სურვილი, რომ გამოიყენონ უფრო და უფრო დიდი დოზა სასურველი ეფექტის მისაღწევად. იმ ამბის გათვალისწინებით, რომ GHB არის დეპრესანტი, მისი მცირე დოზის მომატებაც კი იწვევს სიცოცხლისთვის საშიშ გარემოებებს მომხმარებლებში.

ადიქტოლოგიის სერვის პროვაიდერების ნაწილთა აზრით, GHB არ იწვევს მასზე დამოკიდებულებას, თუმცაღა, არ ეთანხმებიან აღნიშნულს მეორენი.

აღკვეთის სინდრომის დროს აღნიშნული სიმპტომები მოიცავენ:

- **ინსომნიას**
- **აღგზნებადობას**
- **ტრემორს**
- **გაზრდილ გულისცემას**
- **მაღალ არტერიულ წნევას**
- **ფსიქოზურ აზრებს**

ცალკეული პროფესიონალების განმარტებით GHB-**ის მოხმარების შეწყვეტა ბევრად ძნელია, ვიდრე ჰეროინისა“.** — წერს სოციალურ ქსელში ზურაბ სიხარულიძე.

არიადნა შენგელაიას ვარსკვლავი

თბილისში, კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ, საქართველოს სახალხო არტისტის არიადნა შენგელაიას ვარსკვლავი გაიხსნა. მსახიობის შემოქმედებით საღამოს გრიბოედოვის თეატრმა უმასპინძლა.

ღონისძიება მსახიობის დაბადების დღეს გაიმართა. მაყურებელმა საიუბილეო საღამოზე მისი მონაწილეობით ფილმების ნაწყვეტები იხილა.

ვარსკვლავის გახსნის იდეა მსახიობის ყოფილ მეუღლეს, ცნობილ ქართველ რეჟისორს ელდარ შენგელაიას ეკუთვნის. როგორც არიადნა შენგელაიას ოჯახის წევრები ამბობდნენ, — ელდარის გარეშე, არიადნას დათანხმება გაჭირდებოდაო.

„მადლობა ყველას, ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა, მინდა, ყველას ძალიან დიდი მადლობა გითხრათ ამ საღამოსთვის. ჩემ საყვარელ საქართველოს და ქართველ ხალხს ძალიან დიდ ბედნიერებას და სიხარულს ვუსურვებ“, — განაცხადა არიადნა შენგელაიამ.

„ძალიან გახარებული ვარ, არიადნას ეკუთვნის ვარსკვლავი, მთელი თავისი შემოქმედებით, თავისი ცხოვრებით“, — აცხადებს რეჟისორი ელდარ შენგელაია.

„დიდი ვარსკვლავია არიადნა. ის საბჭოთა კინოს ნაღდი ვარსკვლავი იყო და ქართულ კინოში თავისი მოსვლით, ეშხი, სილამაზე, ნიჭიერება და მშვენიერება შემოიტანა“, — განაცხადა მსახიობმა იმედო კახიანმა.

არიადნა შენგელაიას სახალხო არტისტის წოდება 1979 წელს მიენიჭა. პირველი პრემია კიევის საკავშირო კინოფესტივალზე ტატიანა ლარინას როლის შესრულებისთვის (ფილმში „ევგენი ონეგინი“) მიიღო. ქართულ კინოში მის მიერ შექმნილი სახეები დაუვიწყარია. მათ შორის აღსანიშნავია „შერეკილები“, „მთვარის მოტაცება“, „თეთრი ქარავანი“ და სხვა.

მთვარეზე მეგობარ გოგოსთან ერთად

იაპონელი მილიარდერი მთვარეზე მოგზაურობისთვის, რომლის ფარგლებშიც დოკუმენტური ფილმის გადაღებაც იგეგმება, მეგობარ გოგოს ეძებს.

44 წლის იუსაკუ მაეზავა, რომელმაც თავისი ონლაინ გაყიდვების კომპანია გაყიდა, ამბობს, რომ მისი პარტნიორი 20 წელს გადაცილებული უნდა იყოს.

„მარტოობის და სიცარიელის გრძნობები მიპყრობს და ამ დროს მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობ: მიყვარდეს ერთი ქალი“, — ეს სიტყვები მაეზავამ აპლიკანტებისთვის არსებულ ვებგვერდზე დაწერა.

„მე მინდა, ვიპოვო ცხოვრების პარტნიორი და ამ სიყვარულის შესახებ ხმამაღლა გარესამყაროდან ვილაპარაკო“, — ამბობს მილიარდერი, რომელიც მთვარეზე გამგზავრებას პირველი მგზავრის რანგში SpaceX-ის მეშვეობით 2023 წელს აპირებს.

მაეზავა შეყვარებულს ახლახან დაშორდა. აპლიკანტებს მისიაში მონაწილეობა უნდა აინტერესებდეთ და მის დაგეგმვაშიც მიიღონ მონაწილეობა. ასევე უნდა სურდეთ მსოფლიოში მშვიდობის მიღწევაში წვლილის შეტანა. მაზაევა გამარჯვებულს მარტის ბოლოს შეარჩევს. მისიის ფარგლებში ის დოკუმენტური ფილმის გადაღებას გეგმავს.

სახლებს 100 საათში აშენებენ

იტალიურმა კომპანია 3D WASP-მა შეიმუშავა სახლის პროექტი, რომლის ასაშენებლადაც 100 საათია საკმარისი.შენობის ფართი 30 კვადრატული მეტრია. სახლს ამ ვადებში ორი ადამიანი თავისუფლად ააშენებს.

სახლის ღირებულება 900 ევროს შეადგენს. შენობის აგება ხდება ბუნებრივი მასალებით: 25% არის თიხა და ქვიშა, 25% — ბრინჯის დამცავი გარსი, 40% — ბრინჯის ჩალა, ხოლო 10% — ცარცი. სახლის ინსტრუქციის შედეგად, შესაძლებელია ენერგომატარებლებზე ხარჯების დაზოგვა. შესაძლებელია მზის სხივის სითბოს გამოყენება. ასევე სახლის მთავარი სარგებელია მისი სეისმომდგრადობა.

კვამლი დედამიწის გარშემო



ავსტრალიაში მასიური ტყის ხანძრებისას წარმოქმნილი კვამლი დედამიწას შემოუვლის და ავსტრალიაში დაბრუნდება.

კვამლმა სამხრეთ ამერიკაზე გადაიარა და უკვე ნახევარი პლანეტა გადაკვეთა. NASA-ში განმარტავენ, რომ ძლიერმა ხანძრებმა უჩვეულოდ ბევრი ჭექა-ქუხილი გამოიწვია, რის გამოც კვამლი სტრატოსფეროში, 17.7 კილომეტრის სიმაღლეზე ავიდა.

კვამლმა სამხრეთ ამერიკაში ცის ფერი შეცვალა, ახალ ზელანდიაში კი ჰაერის ხარისხსა და მთებში თოვლის ფერზე იმოქმედა. მეცნიერები აცხადებენ, რომ ხანძრების სიძლიერეს კლიმატის ცვლილებამ შეუწყო ხელი.

მეთევზეთ 159-კილოგრამიანი ქორჭილა დაიჭირა

ფლორიდის შტატში მეთევზე ჯეისონ ბოილმა 159-კილოგრამიანი ქორჭილა დაიჭირა.

გიგანტური თევზის ფოტოები ბოილმა Instagram-ზე გამოაქვეყნა. ფლორიდის ველური ბუნებისა და მეთევზეობის კვლევითი ინსტიტუტის ინფორმაციით, ბოილმა 50 წლამდე ქორჭილა 180 მეტრის სიღრმეში დაიჭირა.

ქორწინება ვულკანის ამოფრქვევის ფონზე

ფილიპინელმა წყვილმა ვულკანის ამოფრქვევის მიუხედავად, ქორწილი გადაიხადა.

12 იანვარს ვულკან „ტაალის“ ამოფრქვევა დაიწყო, რომელიც დედაქალაქიდან 70 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს.

ჩინო და კატ ვაფლორმა ვულკანიდან 16 კილომეტრის მოშორებით იქორწინეს. ფოტოგრაფმა სტიქიის ფონზე შთამბეჭდავი ფოტოები გადაიღო.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8980; ევრო - 3.2214;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7636;
100 რუბლი - 4.7403; თურქული ლირა - 0.4946;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7066;
1000 სომხური დრამი - 6.0375.

ამინდი 15 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-11,	დღე	+7
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+5
თბილისი:	ღამე	+1,	დღე	+9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge